

ISSN 1512-3715



№ 32



კუთაისის სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ქუთაისი - KUTAISI - КУТАИСИ

2023

დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ჟურნალი

ЖУРНАЛ НАУЧНОГО ОБЩЕСТВА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

JURNAL OF SCIENTIFIC SOCIETY OF THE WESTERN GEORGIA

სარედაქციო კოლეგია:

ხელამე ნინო (მთავარი რედაქტორი), ადამიანი ვანიშვილი - (სომხეთი), აბას აბასოვი - (აზერბაიჯანი), ბეზბოროდოვი ალექსი - (აშშ), ბიომი სტეფანი - (გერმანია), დილგერი კლაუსი - (გერმანია), მემადოვი გილიაზი - (ენერგეტიკი), მირიან გერესი - (ისრაელი), მამიკონიანი არამ - (სომხეთი), სტენკამპი ანდრე - (აშშ), მირიან დოდო (მდივანი), გელაშვილი ოთარი, ზევზივაძე ომარი, გოგალიანი ნოშრევანი, მეგრელიძე თამაზი, ნატრიაშვილი თამაზი, ნიკოლევიშვილი ავთანდილი, ხაჭაპურიძე რამაზი, გეგუჩაძე ციური, გოგოძე გიორგი, გაკანაძე შორქენა, შარაბიძე მაია, გეგუჩაძე მირანდა, ჯაფარიძე ზურაბი, გილაძე ნანა, ჩახხიანი-ანასაშვილი ნინო.

EDITORIAL BOARD:

N. KHELADZE – (Editor-in-Chief), V. ADAMIAN – (Armenia), I. ABBASOV – (Azerbaijan), A. BEZBORODOV – (USA), S. BHÖM – (Germany), K. DILGER – (Germany), R. ENUKHISHVILI (ENUKHI) – (Izrail), MICHAEL BEN CHAIM – (Izrail), E. MAMMADOV – (Azerbaijan), B. MAMIKONIAN – (Armenia), A. STEENKAMP – (USA), D. Kiria – (secretary), O. GELASHVILI, O. ZIVZIVADZE, N. KOPALIANI, T. MEGRELIIDZE, T. NATRIASHVILI, A. NIKOLEISHVILI, R. KHACHAPURIDZE, TC. GEGUCHADZE, G. GORGODZE, Sh. KAPANADZE, M. SHARABIDZE, M. GETSADZE, Z. JAPARIDZE, N. KILADZE, N. CHACHKIANI-ANASASHVILI.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Н. ХЕЛАДЗЕ – (главный редактор), В. АДАМЯН – (Армения), И. АББАСОВ – (Азербайджан), А. БЕЗБОРОДОВ – (США), С. БИОМ – (Германия), К. ДИЛГЕР – (Германия), Р. ЕНУКИШВИЛИ (ЕНУХИ) – (Израиль), МИХАИЛ БЕН ХАИМ – (Израиль), Е. МАММАДОВ – (Азербайджан), Б. МАМИКОНЯН – (Армения), А. СТЕНКАМП – (США), Д. КИРИЯ (секретарь), О. ГЕЛАШВИЛИ, О. ЗИВЗИВАДЗЕ, Н. КОПАЛИАНИ, Т. МЕГРЕЛИДЗЕ, Т. НАТРИАШВИЛИ, А. НИКОЛЕИШВИЛИ, Р. ХАЧАПУРИДЗЕ, Ц. ГЕГУЧАДЗЕ, Г. ГОРГОДЗУ, Ш. КАПАНАДЗЕ, М. ШАРАБИДЗЕ, М. ГЕЦАДЗЕ, З. ДЖАПАРИДЗЕ, Н. КИЛАДЗЕ, Н. ЧАЧХИАНИ-АНАСАШВИЛИ.

ქურნალი “ნოვაცია” ბეჭდავს ახალ, აქამდე გამოუქვეყნებელი საინტერესო მეცნიერებლი კვლევის შედეგებს საინჟინრო, ბიოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში.

ქურნალის მიზანია მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ახალი სამეცნიერო მიღწევები და ხელი შეუწყოს ავტორთა სამეცნიერო კავშირების დამყარებას ქართველ და უცხოელ კოლეგებთან.

სარედაქციო კოლეგია ყურადღებით მიიღებს მკითხველთა ყველა კონკრეტულ შენიშვნასა და საქმიან წინადაღებას.

რედკოლეგია

Журнал «Новация» печатает результаты новых, неопубликованных до этого интересных научных исследований в инженерных, биологических, естественных и гуманитарных областях наук.

Целью журнала является содействие в доступности новых научных достижений и установление научных связей авторов их грузинскими и зарубежными коллегами.

Редакционная коллегия внимательно примет все конструктивные замечания и деловые предложения читателей.

Редколлегия

Magazine "Novation" prints results new, unpublished before interesting scientific research in engineering, biological, natural and humanitarian areas of sciences.

The purpose of magazine is assistance in availability of new scientific achievements and an establishment of scientific communications of authors their Georgian and foreign colleagues.

The editorial board will closely accept all constructive remarks and business offers of readers.

Editorial boar

URL: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147845>

ს ა რ ჩ მ ვ ი

1 ელენე გეგეშიძე, რამაზ ხაჭაპურიძე. იმერეთის რეგიონის საოჯახო-ლიტერატურული სალონების ისტორიიდან	7
2 თ. მოდებაძე. დირიხლევს ამოცანის ამოხსნა, დისპერსიულ გარემოში სითბოს მიმოცვლის, არაწრფივი სტაციონალური პროცესის პირობებში, საზღვარზე შეშფოთების გათვალისწინებით	17
3 ნ. ცირეკიძე. ცილინდრული პნევმოქარგილების რბილი გარსების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე სხვადასხვა პარამეტრების ზეგავლენა	24
4 მ. გოგოლაძე, ნ. აბესაძე. მელანქური ნართის წარმოების თავისებურებანი	35
5 თ. მოსეშვილი, ე. გამყრელიძე. თერმომედეგი და მნელად წვადი ტექსტილური მასალები	41
6 ვ. ქობალია. ბიოტექნოლოგიის განვითარების პერსპექტივები სოფლის მეურნეობაში	48
7 შ. კაპანაძე, რ. კოპალიანი, მ. თაბაგარი, ლ. კოპალიანი. ვ. უგულავა საძირის როლი აღმოსავლური ხურმის ხეების განვიტარებასა და პროდუქტიულობაში იმერეთის პირობებში	55
8 ზ. ახალაძე. ზეთისხილის წარმოების ეკონომიკური ასპექტები საქართველოში	61
9 ზ. ახალაძე. ერთწლიანი კულტურები საქართველოს სოფლის მეურნეობაში	68
10 ნ. ხელაძე, ც. გეგუჩაძე, დ. ქირია, ნ. დავლაძე. თერმოპლასტების გადამუშავების ზოგიერთი მეთოდი	74
11 ნ. ხელაძე, ც. გეგუჩაძე, დ. ქირია, ნ. დავლაძე. თერმოპლასტების პლასტიკაცია ჩამოსასხმელი მანქანის ცილინდრში	83

С О Д Е Р Ж А Н И Е

1	Е. Гегешидзе, Р. Хачапуридзе. Из истории семейно-литературных салонов имеретинского региона	7
2	Т. Модебадзе. Решение задачи дирихле о теплообмене в дисперсной среде в условиях нелинейного стационарного процесса с учетом возмущения на границе	17
3	Н. Цирекидзе. Влияние различных параметров на напряженно-деформированное состояние мягких оболочек цилиндрических пневмоопалубок	24
4	М. Гоголадзе, Н. Абесадзе. Особенности производства меланжевой пряжи	35
5	Т. Мосешвили, Е. Гамкрелидзе. Термостойкие и трудногорючие текстильные материалы	41
6	В. Кобалия. Перспективы развития биотехнологий в сельском хозяйстве	48
7	Ш. Капанадзе, Р. Копалиани, М. Табагари, Л. Копалиани, В. Угулава. Роль подвоя в развитии и продуктивности деревьев хурмы восточной в условиях имерети	55
8	З. Ахаладзе. Экономические аспекты производства оливок в Грузии	61
9	З. Ахаладзе. Однолетние культуры в сельском хозяйстве Грузии	68
10	Н. Хеладзе, Ц. Гегучадзе, Д. Кирия, Н. Давладзе. Некоторые способы переработки термопластов	74
11	Н. Хеладзе, Ц. Гегучадзе, Д. Кирия, Н. Давладзе. Пластификация термопластов в цилиндре формовочной машины	83

C O N T E N T S

1	E. Gegeshidze, R. Khachapuridze. From the history of family-literary salons of imereti region	7
2	T. Modebadze. Solution of the dirichlet problem on heat transfer in a dispersed medium under conditions of a nonlinear stationary process taking into account disturbances at the boundary	17
3	N. Tsirekidze. The impact of different parameters of tensed-deformed condition of cylindric pneumoarch-formers on soft cover	24
4	M. Gogoladze, N. Abesadze. Features of melange yarn production	35
5	T. Moseshvili, E. Gamkrelidze. Heat-resistant and low-flammability textile materials	41
6	V. Kobalia. Development prospects of biotechnology in agriculture	48
7	Conditions Sh. Kapanadze, R. Kopaliani, M. Tabagari, L. Kopaliani, V. Ugulava. The role of the rootshoot in the development and productivity of eastern persimo trees in imereti	55
8	Z. Akhaladze. Livestock development problems in the Imereti region	61
9	Z. Akhaladze. Annual crops in Georgian agriculture	68
10	N. Kheladze, Ts. Geguchadze, D. Kiria, N. Davladze. Some methods for processing thermoplasts	74
11	N. Kheladze, Ts. Geguchadze, D. Kiria, N. Davladze. Plastification of thermoplasts in the cylinder of a molding machine	83

იმპერიის რეგიონის საოჯახო-ლიტერატურული სალონების
ისტორია

ელენე ბებეშიძე; კულტუროლოგის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

რამაზ ხაჭაპურიძე; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ოჯახი იყო ხავრდები, ხაქართველოში ხულიერი ცხოვრების საფუძველი. ოჯახმა გადაარჩინა ქართული კულტურა, რადგან ეს იყო აღგილი, ხადაც მწერლები ხაზოგადო მოღვაწეები იკრიბებოდნენ, რათა განეხილათ ლიტერატურის, პოლიტიკის, ეკონომიკური და ხოციალური ცხოვრების ხევადასხვა პრობლემები.

ქუთაისი ცხობილი იყო ხახლის (ლიტერატურული) ხალონებით, კერძოდ ლოდობერიძეების, ლორთქიფანიძეების, ნიკოლაძეების, ხელოუფლიშვილების. დადიანები, იაშვილები, ჩხეიძეები, ნაზარიშვილები ხელოუფლიშვილები, გოგიაძეები, მიქელაძეები და ხევა.

საქართველოში პირველი ლიტერატურული სალონი XIX- ის დასაწყისში შეიქმნა და მას ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა. სალონში იკრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები, ხაზოგადო მოღვაწეები და უცხოელი სტუმრები. ეწყობოდა ახალი ნაწარმოებების კითხვა და განხილვა, მზადდებოდა კულტურული დონისძიებები და თეატრალური წარმოდგენები.

XIX-ის ლიტერატურულ სალონებში საღამოები ასე იმართებოდა: იდგა დიდი მაგიდა, რომელზედაც გადაფარებული გახლდათ თეთრი გრძელი სუფრა, სტუმრები ამ მაგიდას გარშემო იყრიბნენ თავს, ილხენდნენ, შაირობდნენ, მსჯელობდნენ, მათ შორის ლიტერატურული პაექრობა იმართებოდა. ტრადიციული წესი იყო ოჯახის წევრის მოთხოვნით ყველა მონაწილეს სუფრაზე ხელმოწერა გაეკეთებინა, რომ ეს ოჯახისთვის სამახსოვრო ყოფილიყო შემდეომ ეს ხელმოწერა ქარგის მეთოდითაც ხორციელდებოდა თურმე.

საისტორიო დოკუმენტები და არქივი მალიან საინტერესო მასალებს გვაწვდის ამ მხრივ თუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობდა იმერეთის რეგიონის საზოგადო მოღვაწე საზოგადოება.

სულიერების საფუძველს, ეროვნების ბურჯს საქართველოში ოდითგანვე თჯახი წარმოადგენდა. ის ინახავდა ერის საუკეთესო ტრადიციებს, ავითარებდა ეროვნულ კულტურას. თუკი რამ კარგი შემოინახა ხალხმა. ის, უპირველეს ყოვლისა, თჯახის წყალობით მოხდა. თჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება მით უფრო მაშინ, როცა საქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკრებულოებით.

ქუთაისში ყოველთვის მძლავრობდა თჯახის ინსტიტუტი. ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა შეკრებების ყველაზე სტაბილური ადგილები იყო ტრადიციული ქართული თჯახები, რომლებიც ერთგარ ლიტერატურულ სალონებს წარმოადგენდნენ. ქართული პერიოდული პრესის სიმცირისა და სიდარიბის გამო კულტურისა და მწერლობის მოყვარულნი თავიანთ შემოქმედებასა და აზრებს ერთმანეთს უზიარებდნენ შინაურ საღამოებზე. ასეთ შეკრებებზე უმეტეს შემთხვევაში ეცნობოდნენ ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, მსაჯელობდნენ ეროვნული კულტურის საერთო საჭიროობობრივ საკითხებზე.

მე-19 ს. II ნახევარში ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი. ახალი პოეტური სიტყვის აკვანი. ქუთაისში საოჯახო-ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ღოღობერიძეების დიდი თჯახი, რომელმაც აღზარდა ხუთი საუკეთესო მამულიშვილი: გიორგი, ნიკო, დავითი, ანეტა და სიმონი. ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ხუთივე ქუთაისში იყო აღზრდილი და დიდი საზოგადოებრივ საქმეს ეწეოდა. თჯახის უფროსი შვილი, ლიტერატურული სალონის წარმმართველი, ქართული კულტურის დიდი ქომაგი და მეცნატი იყო პირველი უმაღლეს დამთავრებული კაცი იმერეთში, იურისტი გიორგი ღოღობერიძე, პირველი კაცი ჩვენში, რომელმაც ევროპულ ყაიდაზე წვერულვაშგაპარსულმა გაბედა საზოგადოებაში გამოსვლა.

გიორგი ღოღობერიძის სახლი დღესაც დგას კ. წ. „ბჯოლებში”, გალაქტიონ ტაბიძისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ამ სახლში რამდენიმე თვე უცხოვრია ილია ჭავჭავაძეს მეუღლითურთ, როცა ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან მსახურობდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ (1864). ეს სახლი მასპინძლობდა ქართული კულტურის ბრყინვალე წარმომადგენლებს” აკაკის, სერგეი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმ. ბაქრაძეს, სოლომონ ლეონიძეს და სხვ., რომლებიც საუბრობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, პოლოტიკაზე, კოთხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. ამ სახლში ჯერ კიდევ 1858წ. გიორგი ღოღობერიძისა და დიმ. ბაქრაძის თაოსნობით გამართულა ქუთასიში პირველი ქართული წარმოდგენა, გ. ერისთავის „გაყრა”, სანამ

შეიქმნებოდა პროფესიული თეატრი. მწერალი შალვა დადიანი ღოღობერობების ოჯახოს შესახებ წერს: „ეს ოჯახი იყო მაშინდელი ცენტრი იმერეთისა, მოწინავე აზრთა მატარებელი. ამ ოჯახში გაისმოდა საუბარი და სჯა-ბასი მაშინდელ საზოგადოებრივ საჭირობოებო საკითხებზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკურ საკითხებზე, სამეცნიერო საგნებზე, საქართველოს ისტორიულ წარსულზე, თანამედროვე სავალალო მდგომარეობაზე, სტამბაზე, გაზეთზე, ბანკზე, ყველა ამების დაარსების საჭიროებაზე და სხვა. ღოღობერიძეებს ჰქონდათ უმდიდრესი ბიბილიოთეკა, რითაც სარგებლობდნენ მათ ოჯახთან დაახლოებული პირი.“ (შ. დადიანი, „რაც გამახსენდა“, თბ., 1959, გვ265).

გიორგი ღოღობერიძის ლიტერატურული სალონის შესახებ უაღრესად სანტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველ მწერალთა ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია: „სამოციანი წლების ბოლოს ქუთაისში რამდენიმე ოჯახი იყო, საცა თავს იყრიდა იმ დროს ქართული საზოგადოება. ქართული მწერლობის და საქმეთა მოყვარე საზოგადოება, ის, რასაც ეძახიან ქართულ ინტელიგენციას, იკრიბებოდა გიორგი ღოღობერიძესთან, რეომელსაც კვირაში ერთი დღე ჰქონდა დანიშნული და ამ დღეს, საღამოობით, ის სახლში ეს საზოგადოება მართავდა სალიტერატურულ საღამოს, საცა იკითხებოდა ჩვენი მწერლების ახალი ნაწარმოებები. სხვათა შორის ამ საღამოებში ხშირად კითხულობა თავის ლექსებს მამია გურიელი. დანიშნულ დღეს აქ შეხვდებოდა კაცი: აკაკის, დიმიტრი ბაქრაძეს, პეტრე ნაკაშიძეს, სოლომონ ლეონიძეს, ერთ-ერთ სიდამონოვ-ერთისთავს, დავით ბაქრაძეს, დათა ერისთავს, გერასიმე კალანდარიშვილს და სხვათა, რომელთაც, ჩვენი მწერლობის სიყვარული გულში ჰქონდათ დანერგილი. აქ ნახავდა კაცი, თუმცა იშვიათად, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს და სერგეი მესხეს.

თავის დროზე ამ საღამოებმა კარგი ზეგავლენა იქონიეს ქუთაისის ახალგაზრდობაზე, „მოზარდი თაობა უფროსის კლასებისა, თუ საშუალო სასწავლებელებში სწავლა დამთავრებული, აქედან სწავლობდნენ, რომ არა პურითა მხოლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ მამულისშვილთავის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა საჭირო ოყო ეროვნული გრძნობის აღზრდა და განმტკიცება, სიყვარული ქართული ენისა, მწერლობისა, ისტორიის, კულტურის.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, საქ. მეცნ. აკადემია, თბ., 1974, გ. IV).

ზემოთ მოყვანილი მოგონებებიდან კარგად ჩანს ის დიდი დვაწლი, რაც გიორგი ღოღობერიძის ოჯახმა დასდო მე-19 ს. 60-იან წლებში ქართული კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის აღორმინების საქმეს, სწორედ მსგავსმა საოჯახო საღონებმა მოიტანეს ჩვენამდე გარდასულ ეპოქათა სუნთქვა, შეგვინარჩუნეს არა ერთი ლიტერატურული შედევრის შექმნის ისტორია, წვლილი შეიტანეს არა ერთი ქმნილების საბოლოო

გარიანტის ჩამოყალიბების საქმეში, უფრო მეტიც, ეს ოჯახები წარმოადგენდნენ მორალურ საყრდენს-საზრდოს სულიერი თუ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მყოფ შემოქმედთათვის.

სწორედ ამ აზრის გამოხატულებას წარმოადგენს აკაკის სიტყვები, მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან „ჩემი თავგადასავალი”, რომელშიც ის მე-19 ს. 60-იანი წლების ქუთაისის ორ დიდებულ ოჯახს იგონებს: „არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი: სულიერად საზრდოც, სულიერი თანაგრძნობაც იყო საჭირო და ისიც მაღვე მოვიპოვე იაკობ ნიკოლაძის და ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახებში, ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა, გულს ,იკეთებდა და მეც იფრო შეუპოვრად და გაბედვით მივდიოდი ჩემი გზით მომავლის მოლოდინში”. (ა. წერეთელი „ჩემი თავგადასავალი” თხზულებანი, თბ., 1989, ტ. III, გვ. 96).

აკაკი მაშინ აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში”. ის ქუთაისიდან ახალ-ახალ კორესპოდენციებს უგზავნიდა გაზეთის რედაქტორს სერგეი მესხეს. „ცხელ-ცხელი ამბების (ასე ერქვა იმ კორესპოდენციებს) შექმნას სწორედ ნიკოლაძისა და ხელთუფლიშვილის ქალიშვილები აქეზებდნენ.

ქალებმა მთხოვეს, რომ ერთი ფელებზენი დამუწერა და დამებეჭდვინებინა „დროებაში” და მეც ავისრულე მათი რჩევა”. (აკაკი, იქვე, გვ. 98)

ნიკო ნიკოლაძის დების სახლი მდებარეობდა თეთრ ხიდთან ახლოს. როგორც შალვა დადიანი იგინებს, ეს იყო „ორსართულიანი სახლი საუცხოო ბაღით და ეზოთი”. (შ. დადიანი, იქვე, გვ. 118) (5) მე-19 ს. 90-იან წლებში (1892წ.) ეს სახლი დაიქირავა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო დადიანმა (შალვას მამამ). მოცულობით საკმაოდ დიდი ყოფილა: კაბინეტი ბიბლიოთეკით, დიდი დარბაზი სტუმრებისათვის, სასადილო და სხვა ოთახებიც. ერთ-ერთ ოთახში კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ მწერლობითა და ლირატურით დაინტერესებული გიმნაზიელები, რომელთა შორის შ. დადიანი ასახელებს პარმენ გოთუას, სიმონ ჯაფარიძეს, გიორგი ავალიანს, სოლომონ გაბუნიას, საშა წულუკიძესა და ნიკო ლორთქიფანიძეს. ამ შეკრებაზე წამოჭრილა აზრი, რომ გიმნაზიელების ხელნაწერი ჟურნალი და შ. დადიანის „მოზარდი” გაეერთიანებიათ, მაგრამ შემდეგ ეს ვერ მოუხერხებიათ. (შ. დადიანი, გვ.119). მსგავს შეხვედრებზე სხვა მოწინავე ოჯახებში ახალგაზრდები მართავდნენ დისკუსიებს და ზოგჯერ წარმოადგენდნენ რეფერატებსაც დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის თუ სხვათა შემოქმედების ირგვლივ, იმართებოდა საუბარი ქართული ენის სიტმინდის დაცვის შესახებ. ამ დისკურსიებში მონაწილეობდნენ ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები: გიორგი ზდანოვიზი (მაიაშვილი), დავით მიქელაძე (მეველე), სიმონ ქვარიანი, გრიშა აბაშიძე და სხვ. (შ. დადიანი, იქვე, გვ. 121-122.).

უფრო ადრე, თვით ნიკო დადიანთან, სადამოობით იკრიბებოდნენ ძველი ქართული ლიტერატურითა და სიტყვიერებით დაინტერესებული ადამიანები, მათ შორის ალექსანდრე და იასონ ლორთქიფანიძეები (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმები, შ. დადიანის დეიდაშვილები), ნიკო მარი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ. ისინი საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ძველ ქართულ სიტყვებზე, თარგმნიდნენ ან აქართულებდნენ უცხო სიტყვებს და ხშირად ოხუნჯობდნენ კიდეც. შ. დადიანი წერს: „აქამდე მახსოვს სირტყვა „ენდალმა”, რაც ქართულად ნიშნავდა დიპლომს. მაზე მახსოვს ერთი მათგან შეთხული სახუმარო ლექსი: „შენი ენდალმა წაიდო წყალმა, გონს ვერ მოგაგო სამშობლოს ვალმა”.

ქუთათური ინტელიგენციის თაგმოყრის ადგილს წარმოადგენდა მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახი. „ეს იყო ერთი მოწინავე ოჯახი, სადაც სადამოობით ეკრიბებოდნენ ქუთათური ინტელიგენტები და ჰქონდათ სჯა-ბაასი და კამათი იმ დროს საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე”.

ოჯახის დიასახლისი, ელპიტე წულუკიძე-ლორთქიფანიძისა, განსახიერება იყო ნამდვილი ძველებური ქართველი ქალის ტიპისა”.

ოჯახის უფროსი-მერაბ ლორთქიფანიძე (მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად), ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მათ აღზარედეს 5 ქალი და 3 ვაჟი, რომელთაც სათანადო განათლება მიაღებინეს. უფრო ვაჟები, ალექსანდრე და იასონი, ამშვენებდნენ ქართველ ინტელიგენტთა წრეს სხვადასხვა საზოგადოებრივ სამსახურით”. ამავე ოჯახში აღიზარდა უფროსი ვაჟი, ნიკო, მე-20 ს. ქართული პროზის დიდოსტატი, ბრწყინვალე ნოველისტი, ქართული იმპრესიონისტული სკოლის მამამთავარი.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე პოეზიის ასპარეზზე გამოვიდა საქმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ახალგაზრდებისა, რომლებიც თითქმის სრულყოფილად ფლობდნენ გარეგან პოეტურ ხერხებს, ეძებდნენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, ცდილობდნენ გარეგნული ფაქტორით-ჩაცმულობითა თუ მანერებითაც პოეტის სახელი დაემკვიდრებინათ, მაგრამ მათ საკმეველში ჩამქრალი იყო „ის ცეცხლი, ის ცხოველი ნაკვერცხალი, რომელიც პოეტის ლოვცას თავისი უმაღლესი მისამართით აღავლენს”.

იმ მრავალრიცხოვან მასაში მკვეთრად გამოირჩა ხმა ჭეშმარიტი პოეტებისა, რომლებიც სრულიად ჭაბუკი ეზიარნენ პოეტურ შემოქმედებას. ისინი ახლებური განცდებით, უდიდესი აღტაცებით, სრულიად ახალი ფორმით მოვიდნენ ქართულ პოეზიაში და მოიტანეს უდიდესი ტკივილის ფასად შექმნილი „მეწყერივით მოვარდნილი” ლექსები დიახ, ეს იყო უახლესი ქართული პოეზიის მესამირგვლეთა თაობა, საერთო ესთეთიკური შეხედულებებისა და მრწამსის მქონე ქართველ სიმბოლისტ პოეტა ლიტერატურული ჯგუფი „ცისფერი ყანწები”.

„ცისფერი ყანწების” გამოჩენაც სავსებით კანონზომიერი იყო იმ დროში, როცა პორველ მსოფლიო ომში ჩათრეული ძველი სამყარო უკანასკნელ მიჯნაზე იგდა და მომავალი რევოლუციების ქარტეხილი ძალიან მოახლოებული იყო. ასეთ გარემოში, ბუნებრივია, რომ ბევრი რაიმეს გადაფასება იწყება და მწერლობაც, ეს საოცრად მგრძნობიარე სეისმოგრაფი, ახალი გზების ძებნას იწყებს და თავისი განცდების ახლებურად წარმოსახვას მიმართავს”. (ს. კლდიაშვილი, როცა წარსულისკენ გავიხედავ”, თბ., 1969, გვ.32.)

ახალმა პოტურმა სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლექსის ახლებური ჟღერადობის შეძენის საქმეში. გაამდიდრა ქართული გერსიფიკაცია, შეიქმნა პირველი ქართული სონეტები, ტერციიები, ტერიოლებები, რითმას მიეცა ახალი გასაქანი, ახლებურად გამოიყენეს ალიტერაციები და ასონანსები. პირველად ითარგმნა ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის პოეზია. (ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფია, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985.)

ცისფერყანწელთა ლიტერატურული სკოლა 1915წ. ჩამოყალიბდა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და ვალ. გაფრინდაშვილის თაოსნობით. ამ ჯგუფს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა პოეტები: სანდო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რაჭელ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა კარმელი, გიორგი ლეონიძე.

„ერთი გარემოება დიდად გვაძრკოლებდა და ხელს გვიშლიდა: ახალგაზრდებს არ გაგვაჩნდა კუთხე, სადაც შევძლებდით თავის მოყრას, დაწერილი წაგვეკითხა და ერთმანეთისათვის აზრი გაგვეზიარებია. სხვა ადგილი რომ არა გვერდდა, შევიყრებოდით ხოლმე ქალაქის ბაღში ან სადმე რესტორანში და იქ ვაცნობდით ერთმანეთს ჩვენს შემოქმედებას.” (ს. კლდიაშვილი, იქვე, გვ. 37.) ცისფერყანწელთა ორიგინალობა მარტო მათი პოეტური თქმის ორიგინალობაში არ გამოიხატება. ისინი ორიგინალური იყვნენ შეკრების ფორმითაც. ახალგაზრდა პოეტები ხშირად ქუთაისის სხვადასხვა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და დამის ძილით მოცული ქალაქის სიმყუდროვეს იქ გამართული პოეზიის საღამოებით არღვევდნენ. „სადარბაზოებში შეხიზნულნი, აბეზარ ყოველდღიურობას და უფასურ სინამდვილეს განშორებულნი, ჩვენ სულ სხვა სამყაროში ვგრძნობდით თავს, ვსაუბრობდით იმაზე, რაც, ალბათ, არცერთ ქუთაისელს არ დაესიზმრებოდა.” (პ. ნადირაძე, იქვე, გვ. 5.)

ზოგჯერ პოეზიით მთვრალნი ქალაქებარეთ გადიოდნენ. სერგო კლდიაშვილი იგონებს. 1919წ. პაოლო იაშვილის თაოსნობით როგორ გაემართნენ ქუთაისის აღმოსავლეთით, წყალწითელაზე გადებული ძველი ხიდისკენ, როგორ აირჩიეს ერთი განაპირა წისქვილი, გაოცებული

მეწისქვილის თანხმობით ჩამოსხდნენ უქვილიან ტომრებზე და ააბრიალეს ქართული ლექსის ხანძარი.

აი, ასეთი „ლიტერატურული სალონებიც ქვონდათ „ცისფერყანწელებს, თუმცა „ამ სიტყვასთან შეერთებულა წარმოდგენა მდიდრულად მორთულ დარბაზზე, სადაც თავს იყრიდნენ მაღალი წრის ადამიანები და სადაც ზოგჯერ ლიტერატურისა და პოლოტიკის ბედიც წყდება.“ (ს. კლდიაშვილი, იქვე, გვ.53-54)

ცისფერყანწელები სალონურ შეკრებებს უფრო ხშირად მართავდნენ ერთმანეთის ოჯახებში. ტიციანი ქუთაისში ბალახვნის ქუჩაზე ცხოვრობდა, შედარებით ვიწროდ, ამიტომ მასთან სტუმრობა არ ხერხდებოდა. სამაგიეროდ, მათ შეხვედრები ჰქონდათ პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, დია ჩიანელთან, სანდრო ცირეკიძესთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან. (ს. კლდიაშვილი, იქვე, გვ. 71)

„1916 წლიდან ჩვენ, პოეტები, ხშირად ვიკრიბებოდით ერთმანეთთან. თითქმის ყველა ჩვენგანის სახლი ერთგვარ „სალონს“ წარმოადგენდა. ვსაუბრობდით, შემოქმედებით საკითხებზე იყო კამათი, ახალი ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებთა კითხვა, მათი შეფასება“ – წერს ნადირაძე. (კ. ნადირაძე, იქვე, გვ. 46) ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, 1919წ., დია ჩიანელის სახლში ტიციან ტაბიძისა და სანდრო ცირეკიძეს ქართული ლიტერატურული მუზეუმის დაარსების იდეა წამოუყენებიათ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ოჯახში კი, ბალახვნის ქუჩაზე, დეკემბრის ერთ თოვლიან საღამოს შეიკრიბნენ თვით მასპინძელი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც იმ დღეს პირველად წაიკითხა ნოველა „ბებრები“ და იქვე გადასცა სანდრო ცირეკიძეს ცისფერყანწელთა ჟურნალ „მშვილდოსანში“ დასაბუჭიდად. ამ ნოველამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. სუფრიდან წამოვიჭერით და ექსპორტით ხელმეორედ შევსვით ნიკოს სადღეგრძელო. ჩვენი „საიდუმლო სერობა“ გათენებამდე გაგრძელდა.

დაუგიწყარი საღამო, დაუგიწყარი დამე, (დ. ბრეგაძე, „არ დავიწყება მოყვრისა“, ქუთაისი, 1990, გვ. 10.) – იგონებს კ. ნადირაძე, რომელსაც დრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა ის დიდი სითბო და ქართული ოჯახის სტუმათმოყვარეობის მადლი, რაც ახალგაზრდობაში ასე უხვად იგემა მეგობართა წრეში გამართული საოჯახო ლიტერეტურული შეკრებებიდან. ის განსაკუთრებული სინაზით იგონებს პაოლო იაშვილის მშობლებს, და დია ჩიანელის მეუღლეს ფაციო გორგოძეს, რომელთა მასპინძლობა არა ერთხელ უგემნიათ „ცისფერყანწელ“ მქებს.

დია ჩიანელის (დავით ჩხეიძის) სახლი ქუთაისში მეტად კოლორიტულ ადგილას, თეორ ხიდთან, მდებარეობდა. ეს მშვენიერი უბანი ყოველთვის პოეტთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. კოლაუ წერს: „გარდა სტუმათმოყვარე, გულწრფელი მეგობრობისა, ჩვენ გვიზიდავდა მისი

ეზო, დამშვენებული მეტად ლამაზი მაგნოლიას ხით, რომლის დიდი თეთრი ყვავილები სურნელებას აფრქვევდანენ ირგვლივ. გვიზიდავდა დიას ბინის დიდებული აივანი. იიგი ამაყად გადმოჰყურებდა რიონის შშვოთვარე, ძლიერ ტალღებს, მათ თეთრ ქაფად ქცეულ ჩქერებს.” (დ. ბრეგაძე, „არ დავიწყება მოყვრისა”, ქუთაისი, 1990, გვ. 10.)

დია ჩიანელის სახლის შესანიშნავ აივანზე იმართებოდა საოცარი საღამოები, სადაც კამათობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე. დიას ვაჟი, კინორეჟისორი რ. ჩხეიძე, იგონებს; „ასე მგონია, სიზმრიდან მოდიოდნენ გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო იაშვილი, უშანგი ჩხეიძე, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი და ბევრი სხვა..” (დ. ბრეგაძე, „არ დავიწყება მოყვრისა”, ქუთაისი, 1990, გვ. 10.)

ამ ოჯახის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ დემნა შენგელაია, გრიგოლ რობაქიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მესხი, გიორგი ჯიბლაძე, სრულიად ახალგაზრდები-მამია ასათიანი, ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, ვიქტორ გაბეგვერია, ბონდო კეჭელავა, ნიკა აგიაშვილი, გიორგი სამხარაძე, გ. ნაფეტვარიძე, მიხ. ალავიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ავალიანი და სხვა.

დიას მეუღლე, ფაცინო გორგოძე, იგონებს: „ვცხოვრობდით რიონის პირად დიდ ავნიან სახლში, დია უზომოდ სტუმათმოყვარე კაცი იყო. ამ საქმეში მეც გვერდით ვიდექი. დღესაც მახსოვს ჩვენს აივანზე გაშლილი სუფრა და მის ირგვლივ ქართველი და რუსი ინტელიგენტების ჯგუფი გართული კამათსა და ლექსების კითხვაში. კაცმა რომ თქვას, ჩვენი სახლი მაშინ თავისებურ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ქუთაისში. სტუმრები ხშირად დიას საყვარელი სოფლის – დიმის მოსანახულებლადაც დაგვყავდა. ქუთაისში ჩამოსული ვლადიმერ მაიაკოვსკის დების მასპინძლებიც ჩვენ ვიყავით. მერე კი ერთად გავწევდით ბაღდადისაკენ.” (დ. ბრეგაძე, „არ დავიწყება მოუვრისა”, ქუთაისი, 1990, გვ. 10.)

მე-20 ს. დასაწყისის ქუთაისზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი კორიფე ვერიკო ანჯაფარიძე, რომლის მამა, ივლიანე ანჯაფარიძე, მაშინ ქალაქის ნოტარიუსად მუშაობდა და ცხოვრობდა წმინდა ნინოს სასწავლებელთან;

„ჩვენს ოჯახში, –იგონებს ვ. ანჯაფარიძე, – ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მსახიობები, მწერლები, პოეტები. „ცისფერყანწელებიც” ხშირად გვესტურებოდნენ. ჩვენთან გავიცანი ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გოგლა ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და მათ შორის ტიციანი, ყოველთვის აგზებული და აფორიაქებული, აძლევდნენ ეშვები იმდროინდელ ქუთაისს.” („წითელი მიხაკის ლეგენდა”, ვ. ანჯაფარიძე, გვ.150, თბ. 1985)

მაშიდელი ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი, ახალი პოეტური სიტყვის აკანი.

აქ თავმოყრილი იყო ქართული გონიერივი სამყაროს წამყვანი ძალა–საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, თეატრალები, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ წარჩინებულ ოჯახებში, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ლიტერატურულ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, ერთი სიტყვით, სულიერ საზრდოს იღებდნენ.

ეს ოჯახები, ბუნებრივია, ცნობილ ინტელიგენტთა ოჯახები ოყო. ერთ-ერთი მათ შორის გახლდათ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახი.

დიმ. ნაზარიშვილის ქალიშვილები, ელო და ისია, ცისფერყანწელებთან მეგობრობდნენ. ტიციანმა ლექსიც უძღვნა უმშვენიერეს ისიას, რომელსაც ახალგაზრდობაში ეტრფოდა. შალვა აფხაძე წერს:

„რომანტიკული გატაცებით და გზნებით, ტიციანის პოეტური ხმის დამახასიათებელი რაღაც შინაგანი ტკივილით, მძაფრი განცდით არის დაწერილი ლექსი „ასია ნაზაროვას”, რომელიც ქუთაისის აპრილივით ჰყაონდა და თვით ხორცშესხმულ მშვენებას წარმოადგენდა, ჩაივლიდა და ქუჩებს სილამაზით ანათებდა. (წითელი მიხაკის ლეგენდა”, შ. აფხაძიზე, თბ. 1985, გვ. 155.)

გიგონებ დამწვარ ამ ათ წელიწადს,
პირველ სიყვარულს, გულს რომ მინგრევდა,
შენც ხომ ცხოვრების გარიგალი გწეწავს,
ორივეს დაგვრჩა უძირო სევდა,
უცოდველ ბავშვის გეძინა ძილით,
ერთად გვესიზმრე დაღლილ პოეტებს,
სიყვარულს ვერ ძლევს წელთაგან ძილი
და ძილშიც სიზმრად წამოიშფოთებს.”

ქართული კულტურის მოღვაწეთა შეკრებებით არა ერთი ოჯენი იყო ცნობილი ქუთაისში. სალონური ცხოვრება ჩქეფდა გოკიელების, ხეჩინაშვილების, მიქელაძეების, იოსელიანების და სხვათა ოჯახებში.

ოჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება. მით უფრო მაშინ, როცა სქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკერულოებით.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ქართული ლიტეტრატურის ისტორია, საქ. მეცნ. აკადემია, თბ. 1974, გ. IV.
2. გ. ასათიანი, “საუკუნის პოეტები”, გ. ტაბიძე.
3. გ. ტაბიძე, ავტობიოგრაფია, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985
4. დ. ბრეგაძე, “არდავიწყება მოყვრისა”, ქუთაისი, 1990, გვ10.
5. ”წითელი მიხაკის ლეგენდა”, ვ. ანჯაფარიძე, გვ. 150, თბ. 1985.
6. ”წითელი მიხაკის ლეგენდა”, შ. ავხაიძე, თბ 1985, გვ. 155.
7. ლ. მიქაძე ქუთაისის მუზეუმის მასალები კრებული IX-X.

История

ИЗ ИСТОРИИ СЕМЕЙНО-ЛИТЕРАТУРНЫХ САЛОНОВ ИМЕРЕТИНСКОГО РЕГИОНА

Е. ГЕГЕШИДЗЕ, Р. ХАЧАПУРИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Семья была опорой нации, основой духовной жизни Грузии. Семья спасла грузинскую культуру, поскольку это было место, где писатели, общественные деятели собирались вместе, чтобы обсудить различные проблемы литературы, политики, экономики и общественной жизни.

Кутаиси славился своими домашними (литературными) салонами, а именно салонами Гогоберидзе, Лордкипанидзе, Николадзе, Хелтулишвили. Дадианис, Яхвилис, Чхеидзе, Назаришвили, Хелтулишвили, Гокелис, Микеладзе и другие.

History

FROM THE HISTORY OF FAMILY-LITERARY SALONS OF IMERETI REGION

E. GEGESHIDZE, R. KHACHAPURIDZE

Akaki Tsereteli State University

Summary

A family has been the pillar of the nation, the basis of the spiritual life in Georgia. The Family, saved Georgian culture as it was the place where writers public figures got together to discuss different problems of literature, politics, economics and social life.

Kutaisi was famous for its home (literary) salons, namely those of the Ghoghoberidzes, Lordkipanidzes, Nikoladzes, Kheltuplishvilis. Dadianis, Iahvilis, Chkheidzes, Nazarishvilis Kheltuplishvilis, Gokeliis, Mikeladzes and others.

დირიქტორის ამოცანის ამოხსნა, დისკურსიულ ბარემოში სითბოს
მიმოცვლის, არაწრივის სტაციონალური პროცესის პირობებში,
საზღვარზე შემფოთების ბათვალისწინებით

თ. მოდებამი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულ ნაშრომში მოცემულია სითბური მიმოცვლის შესაბამისი
დიფ. განტოლებათა სისტემის ამოხსნის ოპერატორული მეთოდი ნეიმანის
ამოცანისათვის. გათვალისწინებულია სინათლის გამოხსივების ზეგავლენა
გამოშრობის პროცესზე და საზღვარზე მაღალი ტემპერატურისაგან
გამოწვეული შემფოთებები. შესაბამისად საზღვარზე ექსპონენციალური
შემფოთებები გათვალისწინება ცვლის დიფერენციალურ განტოლებათა
სისტემის მარჯვენა მხარეს, რას იწვევს ამონახსნთა ფუნქციის კლასის
შეცვლას. დამტკიცებულია დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის
ამონახსნის არსებობა და ნაჩვენებია თუ ფუნქციათა რომელ კლასს
ეკუთვნის ამონახსნი. დახმული ამოცანა და ამოხსნის მეთოდი
შესაძლებელია გამოყენებულ იქნებ თხევადი სითბომატარებლების
შემთხვევაშიც, რომელსაც შემდეგ შრომებში განვიხილავთ.

განვიხილოთ სითბოს მიმოცვლის არაწრფივი პროცესი დისკერსიულ
გარემოში, სინათლის გამოხსივებისა და საზღვარზე ექსპონენციალური
შემფოთების გათვალისწინებით, სტაციონალური რეჟიმის შემთხვევაში.
დამკელერის განტოლებების საფუძველზე, სტაციონალური პროცესის
მათემატიკურ მოდელს აქვს სახე:

$$V_y \frac{\partial \theta}{\partial y} - \frac{\partial}{\partial x} \left(a_1 \frac{\partial \theta}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(a_2 \frac{\partial \theta}{\partial y} \right) = l_1 |T|^{\frac{2}{3}} (T - \theta) + \alpha (T^4 - \theta^4) \quad (1)$$

$$W_x \frac{\partial T}{\partial x} - \frac{\partial}{\partial x} \left(b_1 \frac{\partial T}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(b_2 \frac{\partial T}{\partial y} \right) = l_2 |T|^{\frac{2}{3}} (\theta - T) + \alpha (\theta^4 - T^4) + C \ell^{-\frac{l}{kT}}$$

მათ არეს საზღვარზე გაზისათვის და მყარი ნივთიერებებისათვის
მოცემულია შემდეგი სასაზღვრო პირობები

$$\begin{cases} T(0, y) = \varphi_1(y); & \theta(0, y) = \eta_1(y); \\ T(h, y) = \varphi_2(y); & \theta(h, y) = \eta_2(y); \\ T(x, 0) = \varphi_3(x); & \theta(x, 0) = \eta_3(x); \\ T(x, l) = \varphi_4(x); & \theta(x, l) = \eta_4(x) \end{cases} \quad (2)$$

ასევე უნდა დაკმაყოფილდეს შეზღუდვები მდგომარეობაზე:

$$|grad\theta(x, y)| \leq K \quad \forall (x, y) \in \Omega, \text{სადაც } K - \text{ცნობილი}$$

მუდმივია.

დისპერსიული სისტემის მახასიათებელ ფუნქციებს წარმოადგენენ, ტემპერატურათა განაწილების ფუნქციები $\theta(x, y)$ და $T(x, y)$, რომლებიც შესაბამისად დისპერსიული ფაზისა და დისპერსიული გარემოს ტემპერატურებია. აქ x -შრეს სისქეა $0 \leq x \leq h$; ხოლო y - რეჟიმის ზონის სიგრძე $0 \leq y \leq l$; აღვნიშნოთ $\Omega = (0, h) \times (0, l)$.

$V_y, W_x, l_1, l_2, \alpha, C$ – მოცემული მუდმივებია. a_1, a_2, b_1, b_2 - შემოსაზღვრული ფუნქციებია, α – რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს $0 \leq \lambda_1 \leq a_i, 0 \leq \lambda_2 \leq b_i$ ($i = 1, 2$) სადაც λ_1, λ_2 ფუნქციები $L_\infty(\Omega)$ სიგრძეს მიეკუთვნებიან. $\alpha_0(T, \theta) = K|T|^{\frac{2}{3}}$ - ტიმოფეევის ფუნქციაა. დავამტკიცოთ, რომ დასმულ (1)-(2) ამოცანას აქვს ამონახსნი და ვაჩვენოთ ფუნქციათა რომელ კლასს მიეკუთვნებიან ეს ამონახსნები.

ვთქვათ საკმარისად რეგულარული ფუნქციები $\hat{T}(x, y)$ და $\hat{\theta}(x, y)$ აკმაყოფილებენ პირობებს $\hat{T}|_{\partial\Omega} = T|_{\partial\Omega}; \hat{\theta}(x, y)|_{\partial\Omega} = \theta|_{\partial\Omega}$. მაშინ ფუნქციებისათვის $\bar{T} = T - \hat{T}, \bar{\theta} = \theta - \hat{\theta}$ სასაზღვრო ამოცანა (1)-(2) მიიღებს სახეს:

$$V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} - \frac{\partial}{\partial x} \left(a_1 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(a_2 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \right) = l_1 |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} (\bar{T} + \hat{T}) - (\bar{\theta} + \hat{\theta}) + \alpha (\bar{T} + \hat{T})^4 - (\bar{\theta} + \hat{\theta})^4 - \quad (3)$$

$$\left(V_y \frac{\partial \theta}{\partial y} - \frac{\partial}{\partial x} \left(a_1 \frac{\partial \theta}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(a_2 \frac{\partial \theta}{\partial y} \right) \right);$$

$$W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial y} - \frac{\partial}{\partial x} \left(b_1 \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(b_2 \frac{\partial \bar{T}}{\partial y} \right) = l_1 |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} (\bar{\theta} + \hat{\theta}) - (\bar{T} + \hat{T}) + \alpha (\bar{\theta} + \hat{\theta})^4 - (\bar{T} + \hat{T})^4 +$$

$$+ C \ell^{-\frac{l}{k\bar{T}}} - C \ell^{-\frac{l}{k\hat{T}}} - \left(W_x \frac{\partial \hat{T}}{\partial x} - \frac{\partial}{\partial x} \left(b_1 \frac{\partial \hat{T}}{\partial x} \right) - \frac{\partial}{\partial y} \left(b_2 \frac{\partial \hat{T}}{\partial y} \right) \right);$$

შესაბამისი სასაზღვრო პირობებით:

$$\bar{T}|_{\partial\Omega} = 0; \quad \bar{\theta}|_{\partial\Omega} = 0 \quad (4)$$

და მდგომარეობის შეზღუდვებით

$$\left| \operatorname{grad}(\bar{\theta}(x, y)) + \hat{\theta}(x, y) \right| \leq K \quad \forall (x, y) \in \Omega .$$

(3)-(4) ამოცანის განხოგადოებული ამონახსნი გუშოდოთ
 $\bar{Y} = \{\bar{\theta}(x, y), \bar{T}(x, y)\}$ ფუნქციას, რომელიც ეკუთვნის

$$X = \left[W_2^1(\Omega) \cap L_p(\Omega) \right]^2, \quad p \geq 4 \quad \text{სივრცეს და და ეოგელი } \mu \in X, \mu = (\mu_1, \mu_2)$$

აგმაყოფილებს ინტეგრალურ იგივეობას

$$\begin{aligned} & \int_{\Omega} (V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \mu_1 + W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \mu_2) dx dy + \int_{\Omega} (a_1 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \frac{\partial \mu_1}{\partial x} + a_2 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \frac{\partial \mu_1}{\partial y} + b_1 \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \frac{\partial \mu_2}{\partial x} + b_2 \frac{\partial \bar{T}}{\partial y} \frac{\partial \mu_2}{\partial y}) dx dy = \\ & \int_{\Omega} (V_y \frac{\partial \hat{\theta}}{\partial y} \mu_1 + W_x \frac{\partial \hat{T}}{\partial x} \mu_2) dx dy + \int_{\Omega} (a_1 \frac{\partial \hat{\theta}}{\partial x} \frac{\partial \mu_1}{\partial x} + a_2 \frac{\partial \hat{\theta}}{\partial y} \frac{\partial \mu_1}{\partial y} + b_1 \frac{\partial \hat{T}}{\partial x} \frac{\partial \mu_2}{\partial x} + b_2 \frac{\partial \hat{T}}{\partial y} \frac{\partial \mu_2}{\partial y}) dx dy - \\ & - l_1 \int_{\Omega} |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} ((\bar{T} + \hat{T}) - (\bar{\theta} + \hat{\theta})) (\mu_2 - \mu_1) dx dy - \alpha \int_{\Omega} ((\bar{T} + \hat{T})^4 - (\bar{\theta} + \hat{\theta})^4) (\mu_2 - \mu_1) dx dy - \\ & - C \int_{\Omega} (\ell^{\frac{l}{k\bar{T}}} + \ell^{\frac{l}{k\hat{T}}}) (\mu_2 - \mu_1) dx dy \end{aligned} \quad (5)$$

(5) თანაფარდობას აზრი აქვს ნებისმიერი

$\bar{\theta}(x, y), \bar{T}(x, y), \mu_1(x, y), \mu_2(x, y) \in W_2^1(\Omega) \cap L_p(\Omega), p \geq 5$, რადგან ასეთი ფუნქციები Ω არეს Γ საზღვარზე დებულობენ მნიშვნელობებს და ამასთან ეს მნიშვნელობები Γ საზღვარზე წარმოადგენენ $L_2(\Gamma)$ სივრცის ელემენტებს. ჩავწეროთ (5) ოპერატორული სახით:

$$\langle A(\bar{Y}, \mu) \rangle = \langle \bar{F}(\bar{Y}), \mu \rangle - \langle A(\hat{Y}), \mu \rangle \quad \forall \mu \in X,$$

სადაც A ოპერატორი განისაზღვრება თავისი ორადურფივი ფორმით

$$\langle A(\bar{Y}), \mu \rangle = \int_{\Omega} (V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \mu_1 + W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \mu_2) dx dy + \int_{\Omega} (a_1 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \frac{\partial \mu_1}{\partial x} + a_2 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \frac{\partial \mu_1}{\partial y} + b_1 \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \frac{\partial \mu_2}{\partial x} + b_2 \frac{\partial \bar{T}}{\partial y} \frac{\partial \mu_2}{\partial y}) dx dy \quad (6)$$

ხოლო ოპერატორი $\bar{F}(\bar{Y}) \equiv F(\bar{Y} + \hat{Y})$ განისაზღვრება ფორმით

$$\begin{aligned} \langle \bar{F}(\bar{Y}), \mu \rangle &= -l_1 \int_{\Omega} |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} ((\bar{T} + \hat{T}) - (\bar{\theta} + \hat{\theta})) (\mu_2 - \mu_1) dx dy - \alpha \int_{\Omega} ((\bar{T} + \hat{T})^4 - (\bar{\theta} + \hat{\theta})^4) (\mu_2 - \mu_1) dx dy - \\ & - C \int_{\Omega} (\ell^{\frac{l}{k\bar{T}}} + \ell^{\frac{l}{k\hat{T}}}) (\mu_2 - \mu_1) dx dy \end{aligned} \quad (7)$$

შევისწავლოთ A და F ოპერატორების თვისებები.

ლემა1. A ოპერატორი რომელიც განისაზღვრულია (6)ფორმით წარმოადგენს წრფივს, შემოსაზღვრულს, მონოტონურს და კოერციტიულ

ოპერატორს, რომელიც მოქმედებს $X_1 = \left[W_2^1(\Omega) \right]^2$ სივრციდან

$X_1^* = \begin{bmatrix} 0 \\ W_2^{-1}(\Omega) \end{bmatrix}^2$ სივრცეში. ხოლო F ოპერატორი, რომელიც (7) ფორმითაა განსაზღვრული წარმოადგენს შემოსაზღვრულ დემი უწყვეტ ოპერატორს

$X_2 = \left[L_p(\Omega) \right]^2$, $p \geq 4$ დან $X_2^* = \left[L_q(\Omega) \right]^2$, $1/p + 1/q = 1$ სივრცეში.

დამტკიცება. (6) ინტეგრალის არსებობიდან და გელდერის უტოლობის საფუძველზე მარტივად მტკიცდება A ოპერატორის წრფივობა

$X_1 = \left[W_2^1(\Omega) \right]^2$ სივრციდან $X_1^* = \left[W_2^{-1}(\Omega) \right]^2$ სივრცეში. გაჩვენოთ, რომ A ოპერატორისათვის სამართლიანია შეფასება

$$\|A\| = \sup_{\|\bar{Y}\|_{X_1} = \|\mu\|_{X_1}} \left| \langle A(\bar{Y}), \mu \rangle \right| < \infty, \quad \mu \in X_1 \quad (8)$$

$$\langle A(\bar{Y}_1) - A(\bar{Y}_2), \bar{Y}_1 - \bar{Y}_2 \rangle_{X_1} \geq \forall \bar{Y}_1, \bar{Y}_2 \in X_1 \quad (9)$$

$a_i(x, y)$, $b_i(x, y)$, $i = 1, 2$ კოეფიციენტა შემოსაზღვრულობის და V_y , W_x მუდმივობის გათვალისწინებით შევაფასოთ $\|A\|_{X_1}$

$$\begin{aligned} |\langle A(\bar{Y}), \mu \rangle| &= \left| \int_{\Omega} (V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \mu_1 + W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \mu_2) dx dy + \int_{\Omega} (a_1 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \frac{\partial \mu_1}{\partial x} + a_2 \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \frac{\partial \mu_1}{\partial y} + b_1 \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \frac{\partial \mu_2}{\partial x} + b_2 \frac{\partial \bar{T}}{\partial y} \frac{\partial \mu_2}{\partial y}) dx dy \right| \leq \\ &\leq M \left(\int_{\Omega} \left(\left| \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \mu_1 \right| + \left| \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \mu_2 \right| + \left| \frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \frac{\partial \mu_1}{\partial x} \right| + \left| \frac{\partial \bar{T}}{\partial y} \frac{\partial \mu_2}{\partial y} \right| + \left| \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \frac{\partial \mu_1}{\partial y} \right| + \left| \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \frac{\partial \mu_2}{\partial x} \right| \right) dx dy \right), \end{aligned}$$

$$\text{სადაც } M = \max \left\{ V_y, W_x, \sup_{\Omega} a_1(x, y), \sup_{\Omega} a_2(x, y), \sup_{\Omega} b_1(x, y), \sup_{\Omega} b_2(x, y) \right\}. \quad \text{თუ}$$

გამოვიყენებოთ გელდერის უტოლობას, მაშინ

$$|\langle A(\bar{Y}), \mu \rangle| \leq M (\|\bar{\theta}\| \|\mu_1\| + \|\bar{T}\| \|\mu_2\|) \leq 2M (\|\bar{Y}\|^2 + \|\mu\|^2)$$

(8) თანაფარდობა დამტკიცებულია. A ოპერატორის წრფივობის გათვალისწინებით შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი:

$$\begin{aligned} \langle A(\bar{Y}_1) - A(\bar{Y}_2), \bar{Y}_1 - \bar{Y}_2 \rangle &= \langle A(\bar{Y}_1 - \bar{Y}_2), \bar{Y}_1 - \bar{Y}_2 \rangle = \int_{\Omega} (W_x \frac{\partial(\bar{T}_1 - \bar{T}_2)}{\partial x} (\dot{T}_1 - \bar{T}_2) + V_y \frac{\partial(\bar{\theta}_1 - \bar{\theta}_2)}{\partial y} (\bar{\theta}_1 - \bar{\theta}_2)) dx dy + \\ &+ \int_{\Omega} \left((a_1 \frac{\partial(\bar{\theta}_1 - \bar{\theta}_2)}{\partial x})^2 + (a_2 \frac{\partial(\bar{\theta}_1 - \bar{\theta}_2)}{\partial y})^2 + (b_1 \frac{\partial(\bar{T}_1 - \bar{T}_2)}{\partial x})^2 + (b_2 \frac{\partial(\bar{T}_1 - \bar{T}_2)}{\partial y})^2 \right) dx dy \geq 0 \end{aligned}$$

ეს კი ამტკიცებს (9) თანაფარდობის სამართლიანობას. გარდა ამისა

$$\begin{aligned} \langle A(\bar{Y}), \bar{Y} \rangle &= \int_{\Omega} (W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \bar{T} + V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \bar{\theta}) dx dy + \int_{\Omega} (a_1 \left(\frac{\partial \bar{\theta}}{\partial x} \right)^2 + a_2 \left(\frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \right)^2 + b_1 \left(\frac{\partial \bar{T}}{\partial x} \right)^2 + b_2 \left(\frac{\partial \bar{T}}{\partial y} \right)^2) dx dy \geq \\ &\geq C \|\bar{Y}\|^2, \quad C = \min \left\{ \inf_{\Omega} a_1(x, y), \inf_{\Omega} a_2(x, y), \inf_{\Omega} b_1(x, y), \inf_{\Omega} b_2(x, y) \right\} \\ \text{რადგანაც} \quad \int_{\Omega} W_x \frac{\partial \bar{T}}{\partial x} \bar{T} dx dy &= 0 \quad \text{და} \quad \int_{\Omega} V_y \frac{\partial \bar{\theta}}{\partial y} \bar{\theta} dx dy = 0. \quad \text{შესაბამისად} \quad A \end{aligned}$$

კოერციტიული ოპერატორია.

განვიხილოთ (3)-ის არაწრფივი ნაწილი. გელდერის უტოლობის საფუძველზე, (7) ინტეგრალს აზრი აქვს, თუ $\bar{\theta}, \bar{T}, \mu_1, \mu_2 \in L_p(\Omega)$, $p \geq 4$.

ვ. ი. $\bar{Y} = (\bar{\theta}, \bar{T})$, $\mu = (\mu_1, \mu_2) \in [L_p(\Omega)]^2 = X_2$.

ვაჩვენოთ, რომ \bar{F} -ს გადაყავს X_2 -დან შემოსაზღვრული სიმრავლე, შემოსაზღვრულ სიმრავლეში X_2^* -ში და ოპერატორი X_2 -დან X_2^* -ში დემოუწვეტია. ამისათვის საკმარისია ვაჩვენოთ, რომ $\bar{f}_1(\bar{Y}) \in L_q(\Omega)$. $\bar{f}_1(\bar{Y})$ ფუნქცია ზომადია და მისთვის სრულდება უტოლობა

$$\begin{aligned} \bar{f}_1(\bar{\theta}, \bar{T}) &= l_1 |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} ((\bar{T} + \hat{T}) - (\bar{\theta} + \hat{\theta}) + \alpha(\bar{T} + \hat{T})^4 - (\bar{\theta} + \hat{\theta})^4) + C(\ell^{-\frac{l}{k\bar{T}}} + \ell^{-\frac{l}{k\hat{T}}}) \leq \\ &\leq l_1 (|\bar{T} + \hat{T}|^{\frac{5}{3}} + |\bar{T} + \hat{T}|^{\frac{2}{3}} |\bar{\theta} + \hat{\theta}|) + \alpha(|\bar{T} + \hat{T}|^4 + |\bar{\theta} + \hat{\theta}|^4) + C\ell^{-\frac{l}{k\bar{T}}} (\ell^{-\frac{l}{k}(\frac{1}{T} - \frac{1}{\hat{T}})} + 1) \end{aligned}$$

აქედან გამოდის, რომ:

$$|\bar{f}_1(\bar{\theta}, \bar{T})| \leq \begin{cases} K_1 \left(|\bar{T} + \hat{T}|^4 + |\bar{\theta} + \hat{\theta}|^4 + 2C \right), |\bar{T} + \hat{T}| \geq 1 \\ K_2 \left(|\bar{T} + \hat{T}|^{\frac{4}{3}} + |\bar{\theta} + \hat{\theta}|^4 + 2C \right), |\bar{T} + \hat{T}| \leq 1 \end{cases}$$

მაშინ როცა $p = 4$, $q = \frac{3}{4}$ ბივილებო

$$|\bar{f}_1(\bar{\theta}, \bar{T})|^q \leq \begin{cases} C_1 \left(|\bar{T} + \hat{T}|^3 + |\bar{\theta} + \hat{\theta}|^3 \right), |\bar{T} + \hat{T}| \geq 1 \\ C_2 \left(|\bar{T} + \hat{T}| + |\bar{\theta} + \hat{\theta}|^3 \right), |\bar{T} + \hat{T}| \leq 1 \end{cases}$$

სადაც K_1, K_2, C_1, C_2 ბევრებია რომლებიც არ არის დამოკიდებული \bar{Y} -ზე.

რადგან $\bar{T}, \hat{T}, \bar{\theta}, \hat{\theta} \in L_p(\Omega)$, $p \geq 4$, ამიტომ $|\bar{f}_1(\bar{T}, \hat{\theta})|^q$ ფუნქციას გააჩნია ლებების აზრით ინტეგრირებადი მაჟორანტა. შესაბამისად $\bar{f}_1(\bar{T}, \bar{\theta}) \in L_q(\Omega)$ და $\bar{F}(\bar{Y}) \in [L_q(\Omega)]^2 = X_2^*$. დამტკიცებული უტოლობიდან ასევე გვაქვს, როცა $\|\bar{Y}\|_{X_2^*} \leq \bar{K}^* = \text{const}$, მაშინ $\|\bar{F}(\bar{Y})\|_{X_2^*} \leq K^* = \text{const}$, ვ. ი. $\bar{F}(\bar{Y})$ – შემოსაზღვრული ოპერატორია. დავამტკიცოთ მისი დემი უწვეტობა.

შევნიშნოთ, რომ \bar{f}_1 ფუნქციისათვის, რომელიც განსაზღვრულია $\Omega \times R^2$ -ზე, სრულდება შემდეგი პირობები:

- 1) თითქმის ყველა $\bar{x} = (x, y) \in \Omega$ -თვის $\xi \rightarrow \bar{f}_1(\bar{x}, \xi)$ ფუნქცია უწყვეტია R^2 -ზე;
- 2) ყოველი $\xi \in R^2$ ფუნქცია $\bar{x} \rightarrow \bar{f}_1(\bar{x}, \xi)$ ზომადია;
- 3) ყოველი $\xi = (\xi_1, \xi_2) \in R^2$ და თითქმის ყველა $\bar{x} \in \Omega$ ადგილი აქვს უცოლობას: $|\bar{f}_1(\bar{x}, \xi)| \leq c \left(1 + \sum_{j=1}^2 |\xi_j|^{p-1} \right)$, $p \geq 4$, სადაც c ზედმივია.

განვიხილოთ მიმდევრობა $\{\bar{Y}_n\} \in X_2$ ისეთი, რომ $\|\bar{Y}_n - \bar{Y}\| \rightarrow 0$. იმის გამო, რომ \bar{F} შემოსაზღვრულია, $\{\bar{F}(\bar{Y}_n)\}$ სიმრავლე შემოსაზღვრულია, და შესაბამისად სუსტად კომპაქტური. ამიტომ იმის დასამტკიცებლად, რომ $\bar{F}(\bar{Y})$ წარმოადგენს $\{\bar{F}(\bar{Y}_n)\}$ მიმდევრობის სუსტ ზღვარს, საკმარისია ვაჩვენოთ, რომ $\bar{F}(\bar{Y}_{n_k}) \rightarrow \bar{F}(\bar{Y})$ ყოველი სუსტად კრებადი მიმდევრობისათვის $\{\bar{F}(\bar{Y}_n)\}$ სიმრავლიდან.

დაუშვათ, რომ z ასეთი მიმდევრობის ზღვარია. მაშინ არსებობს ქვემიმდევრობა $\{V_j\}$, $\{\bar{Y}_{n_k}\}$ მიმდევრობიდან, რომელიც იკრიბება \bar{Y} - საკენტრო თითქმის მთელ Ω -ზე. $\{\bar{x}, \xi\} \rightarrow \bar{f}_1(\bar{x}, \xi)$, $\xi \in R^2$ უწყვეტობის გათვალისწინებით გვაქვს $\bar{F}(V_j(\bar{x}) \rightarrow \bar{F}(\bar{Y}(\bar{x}))$ თითქმის ყველგან Ω -ზე. მეორე მხრივ $\{\bar{F}(V_j)\}$ როგორც ქვემიმდევრობა, $\{\bar{Y}_{n_k}\}$ მიმდევრობისა სუსტად იკრიბება z -საკენტრო. შესაბამისად $\bar{F}(\bar{Y}) = z$, ე. ი. $\bar{F}(\bar{Y}_{n_k}) \rightarrow \bar{F}(\bar{Y})$, X_2^* -ში და \bar{F} ოპერატორი დემი უწყვეტია. ლემა დამტკიცებულია.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

ფხვნილისებური ფტოროპლატფორმა დრუ ნაკეთობების მისაღებად იყენებენ ნამზადების ფორმირების მეთოდს ჰიდრავლიკური ან ჰაერის წნევის და ელასტიური მემბრანების დახმარებით, რომლებიც პუანსონისა და მატრიცის როლს ასრულებენ. პოლიმერის ფხვნილი შეყავთ პუანსონისა და მატრიცის შორის სივრცეში და წნევის ქვეშ ფორმირდება ნამზადები, რომლებსაც შემდეგ შეაცხობენ.

ნამზადების დაწნევებისა და შეცხობის ტექნოლოგიების გარდა გამოყენება ასევე ექსტრუზია ჭიახრახნიანი ან დგუშიანი მანქანების საშუალებით. ამ მეთოდით ფტოროპლატ-4-ის გადასამუშავებლად ხმარობენ კარგი სიფხვიერის ფხვნილებს, რომლებიც მიიღება, მაგალითად, საწყისი ფხვნილის შეცხობითა და შემდგომი დაფქვით. ექსტრუზიით ამზადებენ მილებს, ღერძებს და პროფილურ ნაკეთობებს. სუსპენზიური ფტოროპლასტისაგან ამ მეთოდით ამზადებენ ასევე ფურცლებს, რომლებიც შემდეგ მუშავდება ცხელი დაშტამბებით.

ფტოროპლასტ-4-ის ექსტრუზიას ახდენენ ერთჭიახრახნიან წნეხზე მუდმივი ბიჯით და დაკუთხვის სიღრმით, ანუ ჭიახრახნის არხში შეკუმშვის გარეშე. გამკვრივება მიმდინარეობს ჭიახრახნის ცილინდრიდან პოლიმერის მაფორმირებელ კონუსურ თავაკში გამოწნევის დროს. ჭიახრახნი ბრუნავს 30-45 ბრუნ/წთ სიჩქარით, გაცივება არ აქვს. გამაცივებელი არხები იყოფება ცილინდრში. მაფორმირებელი თავაკი წარმოადგენს გრძელ მილს გაპრიალებული შიგა ზედაპირით. ფორმირებული პოლიმერის მილი შეცხება გაცხელებულ თავაკში გავლის დროს და შემდეგ ცივდება. შეცხობა და გაცივება რომ მოეწროს, თავაკს უნდა ჰქონდეს სკმარისი სიგრძე. ჩვეულებრივ თავაკის სიგრძე შეადგენს 80-90 D-ს და მეტს (D – თავაკის დიამეტრია). მილის შიგა ზედაპირი ფორმდება დორნით, რომლის სიგრძე შეცხობის ზონაზე მეტი უნდა იყოს. დორნის ცენტრირება ხორციელდება დორნზე თავისუფლად მოთავსებული კონუსური მილისით. მილებული მილი გამოაგდებს ამ მილისს ექსტრუზიის დასაწყისში და შემდგომ თავად ახდენს დორნის მდებარეობის ცენტრირებას.

დგუშიანი პრესი შეიძლება იყოს ვერტიკალური და პორიზონტალური. იგი შედგება დგუშიანი ცილინდრისაგან, მაპროფილერებელი თავაკისაგან, და ღუმელისაგან მიღებული ნაკეთობის გასაშრობად, შესაცხობად და გასაცივებლად. პოლიმერს შეერევა საპოხი ნივთიერება და ტაბლეტირდება პრესზე მდებარე ფორმაში. ტაბლეტი გადადის პრესის ცილინდრში, სადაც ხდება მილების, ღერძების ფორმირება და კაბელების დასამზადებელ მეტალერ ძარღვებზე ფტოროპლასტის გარსის დატანა. მიღებული პროფილი გადადის ღუმელში შესაცხობად.

ემულსიური პოლიტექნიკურატორეთილენისაგან ნაკეთობებს ასევე ღებულობენ ექსტრუზიით. ამ მიზნით წინასწარ ამზადებენ პასტებს პოლიმერის ფხვნილებისა და თხევადი ნახშირწყალბადებისაგან. ამ პასტას შემდეგ გა-

მოაწევებ ექსტრუდერის თავაკში. მიღების დამზადების დროს მიღებულ ექსტრუდატს შეცხობის წინ აშრობენ.

ფტოროპლასტ-4-ის სახეობაა ფტოროპლასტი-4D, რომელსაც უფრო დაბალი მოლეგულური მასა აქვს. ფტოროპლასტ-4D-ის ნაკეთობებად გადამუშავების გაადგილების მიზნით იყენებენ კომპოზიციას, რომელიც შეიცავს საპოხს – ბენზინს ან ბენზინში პოლიიზობუთილენის 6% ხსნარს. ფტოროპლასტი-4D-გან ამზადებენ კაბელების გარსებს, მიღებს და სხვა როფილურ ნაკეთობებს, რომლებსაც შეაცხობენ 300°C -ზე მაღალ ტემპერატურაზე და სწრაფად აცივებენ.

ფტოროპლასტი-4 გამოიყენება დაბალ და მაღალ ტემპერატურებზე, აგრესიულ არეებში მომუშავე გამტარებისა და კაბელების იზოლაციისათვის. სახუნის დაბალი კოეფიციენტის გამო შესაძლებელია მისი გამოყენება საკისარების დასამზადებლად.

ნაკეთობების მისაღებად, რომლებსაც ბრუნვის სხეულის ფორმა აქვთ (მიღისები, მიღები, ბორბლები, კბილანები და სხვა), იყენებენ ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდს. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია სქელკედლიანი მსხვილგაბარიტიანი ნაკეთობების ჩამოსასხმელად, რომელთა დამზადება გაძნელებულია ჩამოსასხმელ მანქანებზე მნიშვნელოვანი ჩაჯდომის და ბუშტუკების წარმოქმნის გამო. ცენტრიდანული ჩამოსხმისას გამლდვალ თერმოპლასტსასხამენ ფორმაში, რომელიც შემდეგ ბრუნავს. ფორმის ბრუნვა ხდება მისი მოთავსებით სპეციალურ მოწყობილობაზე ან ჩვეულებრივ საზეინკლო ჩარხზე. მეთოდი ეფუძნება ცენტრიდანული ძალის გამოყენებას, რომელიც ნალიღის მიაჰერს ფორმის კედლებს, ე.ი. იგივე პრინციპზე, რომელიც გამოიყენება მეტალების ცენტრიდანული ჩამოსხმის დროს.

მეტალებისაგან განსხვავებით პლასტმასებს მცირე სიმკვრივე აქვთ, ამიტომ მათი ჩამოსხმისა და გამკვრივებისათვის საჭიროა უფრო მეტი ცენტრიდანული ძალა. ცენტრიდანული ძალის სიდიდე განისაზღვრება ფორმის ბრუნვის სიხშირით და ნაკეთობის რადიუსით.

ცენტრიდანული ძალის მოქმედებით ნალიღის მოთავსდება ფორმის შიგა ზედაპირზე მკვრივი ფენის სახით და იდებს სასურველ ფორმას. ფორმის გაცივება ხდება ასევე ბრუნვის დროს, ნაკეთობა ამ დროს მყარდება. ნაკეთობის ამოღება ფორმიდან წარმოებს მისი გაჩერების შემდეგ.


ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარები შეიძლება იყოს ბრუნვის პორიზონტალური და ვერტიკალური დერძით. ვერტიკალურ დერძის იყენებენ მოკლე მიღისებისათვის, რომელთა დერძის მიმართ ზომები დიამეტრზე დიდი არ არის. ბრუნვის პორიზონტალური დერძიანი სქემები გამოიყენება უფრო გრძელი ნაკეთობების (მიღების, გრძელი მიღისების, პილზების) დასამზადებლად.

მეთოდი საშუალებას იძლევა გადავამუშაოთ დაბალი სიბლანტის ნალიღები (პოლიამიდები, პოლიურეთანები), ასევე პოლიმერ-მონომერული კომპოზიციები. მასალის გაცხელება და ლიფტი მიმდინარეობს სალიფო ავტოკლავში ან ტიგელში, რის შემდეგ მას ათავსებენ ფორმაში ნაკეთობის მასის შესაბამისი რაოდენობით. გამკვრივების წნევა განისაზღვრება ფორმის

ბრუნვის სიჩქარით. არასაკმარისი წნევის დროს შესაძლებელია ნაკეთობის კედლების სხვადასხვა სისქე და პარტიულური ჩანართების არსებობა. ნალღობის ხარისხი და ფორმის ბრუნვის სიხშირე განაპირობებენ მიღებული ნაკეთობების ხარისხს.

ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდით შესაძლებელია მრავალშრიანი ნაკეთობებისდამზადება, მაგალითად გრაფიტით შეესებული პოლიამიდისაგან მიღისები და საკისარები. პოლიამიდისა და გრაფიტის სიმკვრივეების განსხვავების გამო პოლიამიდი განთავსდება შიგა შრეში, ხოლო პოლიამიდისა და გრაფიტის ნარევი – მიღისები ან საკისარის გარე შრეში.

ცენტრიდანული ფორმირების დანადგარი ბრუნვის ვერტიკალური დერმით წარმოდგენილია ნახ. 1-ზე, რომელიც განკუთვნილია პოლიამიდების გადასამუშავებლად.



ნახ. 1. პოლიამიდებისაგან ნაკეთობების ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარი: 1-სოლური ბორბლები, 2-ლვედი, 3-გარსაცმი, 4-ჯამი, 5-ტაქომეტრი, 7-ელექტროძრავი


იგი აღჭურვილია ცილინდრული ჯამით 4, რომლის შიგნით შეიძლება მოთავსდეს ფორმა. ჯამს 4 აქვს ამძრავი ელექტროძრავიდან 7 სოლურდველური გადაცემით, რომელიც შედგება საფეხურებიანი სოლური ბორბლებისგან 1 და 6, და ლვედისაგან 2. ბრუნვის სიხშირე იზომება ტაქომეტრით 5. ჯამს გარედან ეხურება გარსაცმი 3. ფორმაში მასალის ჩატვირთვა ხორციელდება სპეციალური დოზატორით.

ცენტრიდანული ჩამოსხმისათვის ფორმას ამზადებენ ბრინჯაოსაგან, ალუმინისაგან ან ფოლადის სხმულისაგან. მოცემულ კონსტრუქციაში ჯამი 4 არ ცეცელდება, ხოლო გამლდვალი კაპროლაქტამიდან ნაკეობების ფორმირება მიმდინარეობს ციგ მბრუნავ ფორმაში $30\text{--}40\text{ mm}^{-1}$ სიხშირით ბრუნვის დროს.

ბრუნვის პორიზონტალურ დერმიანი აგრეგატის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მიღების მისაღები დანაგარი (ნახ. 2).

დანადგარს აქვს სადგარი 5, რომელზეც საკისარებში 1 დაყენებულია ორი ლილვი 4. თითოეულ ამ ლილვზე დამაგრებულია ორ-ორი ამძრავი გორგოლაჭი 2. ამძრავ გორგოლაჭის ათავსებკნ საფორმირებელ მიღს 6, რომელიც ბრუნავს 30-50 წმ⁻¹ სიხშირით. მისაჭერი გორგოლაჭი 3 გადაადგილდება სვეტის 7 გასწვრივ კრონშტეინზე 8. საფორმირებელი მიღი 6 ივ-სება მასალის ნალღობით, იკეტება ორივე ბოლოდან და მოდის ბრუნვაში ფორმირების პროცესის დასრულებამდე. შემდეგ მზა ნაკეთობას გამოიღებენ.

ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდი გამოირჩევა ტექნოლოგიური პროცესის და გამოყენებული დანადგარების სიმარტივით, ამიტომ შეიძლება გამოყენებული იქნეს მსხვილგაბარიტიანი ნაკეთობების მცირე სერიების წარმოებისათვის. ცენტრიდანული ამოსხმის ნაკლია პროცესის დიდი შრომატევადობა, დაბალი მწარმოებლურობა. ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ცენტრიდანული ჩამოსხმის სპეციალური მანქანები საწარმოო ცენტრიფუგულის ბაზაზე.




ნახ. 2. ცენტრიდანული ჩამოსხმის დანადგარი მიღების მისაღებად:

1-საკისარი, 2-ამძრავი გორგოლაჭი, 3-მისაჭერი გორგოლაჭი, 4-ლილვი, 5-სათვარი, 6-საფორმირაბლივი მილი, 7-სკარი, 8-კრონშტაინი

ნახ. 3-ზე წარმოდგენილია თხელკედლიანი ნაკეთობებისა და ფირების მისაღები ცენტრიდანული მანქანა, დამზადებული ცენტრიფუგის ბაზაზე. მანქანა შედგება სადგარისაგან 1, რომელზეც დაყენებულია ელექტროძრავა 2 ბრუნვის რეგულირებადი სიხშირით (500-6000 ბრუნ/წთ). სადგარზე დამაგრებულია რკალი 3 სახურავით 4, აღჭურვილი სითბოიზოლაციით 5. რკალის შიგნით მოთავსებულია ელექტროძრავა, რომელიც შედგება გარსაცმისაგან 9, 0,8 კვტ სიმძლავრის ელექტრული სპირალით 10 და სითბოიზოლაციით 11. ელექტროძრავის ლილვზე ჩამოცმულია როტორი 12 დიამეტრით

0,2 მ, დამაგრებული სარინი ქანჩით 6 ბრუნვის სიხიშირის გასაზომად. როტორი დახურულია შუასადებიანი 8 სახურავით 7.

პოლიურეთანებიდან ფირების წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მოცემულ დანადგარზე შემდეგში მდგომარეობს. რეაქტორში სინთეზირებული პოლიმერი დოზირდება 70°C -მდე გაცხელებულ ფორმა-როტორში და როტორი იწყებს ბრუნვას. ბრუნვის დამყარებული სიჩქარის დროს 5-10 წუთის განმავლობაში შენარჩუნებულია საწყისი ტემპერატურა პოლიმერის მასაში განაწილებული ჰაერის ჩანართების მოსაცილებლად. შემდეგ ტემპერატურა იზრდება 120°C -მდე. ბრუნვისას თერმოსტატირება გრძელდება 5 საათამდე, რის შემდეგ გამოირთვება ელექტროძრავი და გაცხელება, იხსნება სახურავი, როტორი ცივდება 50°C -მდე და ხდება მზა პროდუქტის მოხსნა.



ნახ. 3. ცენტრიდანული მანქანა სასხმელი პოლიურეთანებისაგან ფირების მისაღებად:

1-სადგარი, 2-ელექტროძრავი, 3-რკალი, 4,7-სახურავი, 5,11-სითბო-ზოლაცია, 6-სარინი ქანჩი, 8-შუასადები, 9-გარსაცმი, 10-ელექტრული სისირალი, 12-როტორი

ასეთი მანქანების ღირსებაა კომპაქტურობა და მომსახურების სიმარტივე. პოლიცრეთანებისაგან ფირების ფორმირების ცენტრიდანული ხერხი ფართოდ გამოიყენება კარბიურატორების წარმოებაში.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნაკეთობების დასაზადებლად ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია გადასამუშავებელი მასალის სახეობასა და თვისებებზე და ნაკეთობის დანიშნულებაზე.

კაპონის ტექსტილ-ტრიკოტაჟული ნარჩენების გადასამუშავებლად არა-საპასუხისმგებლო დეტალებად გამოიყენება ავტოკლავური ჩამოსხმა.

გარეცხილ და 0,2% ტენიანობამდე გამომშრალ ნარჩენებს 10-12 კგ და მეტი რაოდენობით (ავტოკლავის მოცულობის მიხედვით) ტვირთავენ ავტოკლავში, რომელიც ცხელდება მაღალმდუღარე სითხიანი პერანგის დახმარებით. ჩატვირთულ ჭურჭელში ჩაბერავენ ბალნიდან აზოტს, რომ ავტოკლავში ჟანგბადის შემცველობა არ აღემატებოდეს 0,5%-ს, რადგან კაპრონი ადვილად იუანგება. ჩაბერვის დამთავრების შემდეგ ენტავენ ონკანებს, რომლითაც აზოტი მიეწოდებოდა, ჩართავენ გამაცხელებელს და ალფობენ თერმოპლასტს ლდობის ტემპერატურაზე 20-30°C-ის მაღალ ტემპერატურაზე. ნალექობს ჩასხამენ 60-80°C ტემპერატურიან გასახსნელ ფორმებში აზოტის 1,0-1,5 მკა წევის ქვეშ.

ავტოკლავურმა ჩამოსხმამდილი გავრცელება ვერ პოვა ნაკეთობების მცირე მექანიკური სიმტკიცის, სუსტი მექანიზაციის და პროცესის დაბალი მწარმოებლურობის გამო.

Композиты

НЕКОТОРЫЕ СПОСОБЫ ПЕРЕРАБОТКИ ТЕРМОПЛАСТОВ

Н. ХЕЛАДЗЕ, Ц. ГЕГУЧАДЗЕ, Д. КИРИЯ, Н. ДАВЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматривается метод спекания термопластов, позволяющий получать полые и крупногабаритные конструкции, используется для нанесения порошкового полимера на металлические поверхности, для переработки полимеров, из которых получать изделия другими способами невозможно. Также представлен метод центробежного и автоклавного формования термопластов, который особенно эффективен для получения толстостенных и крупногабаритных конструкций.

Composites

SOME METHODS FOR PROCESSING THERMOPLASTS

N. KHELADZE, Ts. GEGUCHADZE, D. KIRIA, N. DAVLADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the method of sintering thermoplastics, which makes it possible to obtain hollow and large-sized structures; it is used for applying powder polymer to metal surfaces, for processing polymers from which it is impossible to produce products by other methods. Also presented is a method of centrifugal and autoclave molding of thermoplastics, which is especially effective for producing thick-walled and large-sized structures.

თერმოპლასტების პლასტიკაცია ჩამოსასხმელი მანქანის ცილინდრში

ნ. ხელაძე, ვ. გეგშჩაძე, დ. შირია, ნ. დავლაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია თერმოპლასტების პლასტიკაციის პროცესი ჩამოსასხმელი მანქანის ცილინდრში გადაადგილების დროს. ჭიახრახნი პორტითად შეიძლება დავყოთ სამ ზონად: ჩატვირთვის ზონა, პლასტიკაციის ზონა და დოზირების ზონა. თითოეულ ზონაში მიმდინარე პროცესების ერთიანობა განხაზღვრავს პლასტიკატორის მწარმოებლურობას და ნალეობის ხარისხს.

პლასტიკაციის პროცესის ძირითადი ფაქტორებია ჭიახრახნის პარამეტრები (ხიგრძე, დიამეტრი, არხის სიღრმე), ჭიახრახნის პრუნგი, პლასტიკაციის წევა. ეს ფაქტორები განხაზღვრავენ პლასტიკაციური ცილინდრის მწარმოებლურობას, მასალის ტემპერატურას, პროცესის აღების სიზუსტეს.


ფორმის შევსების პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია მასალის თვისებები და ტემპერატურა, მოდებული წევის რეჟიმი, ფორმის გეომეტრია და კონსტრუქცია. ჩამოსასხმელი ფორმის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ნაკლებ გავლენას ახდენს შევსების პირობებზე. იმ შემთხვევაში, როცა ფორმას ათბობენ მაღალ ტემპერატურამდე, შევსების პირობები ადგილდება და ფორმის შესავსებად საჭირო წევა მცირდება.

ჭიახრახნიანი ჩამოსასხმელი მანქანის მასალის ცილინდრში ბუნკერიდან საქმინისკენ მასალის ტრანსპორტირებისას მიმდინარეობს მისი ინტენსიური შერევა, გალდობა, გათბობა (ნახ. 1). ჭიახრახნი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ზონად: ჩატვირთვის ზონა, პლასტიკაციის ზონა და დოზირების ზონა.

ჩატვირთვის ზონაში მასალის მყარი ნაწილაკები წარიტაცება ჭიახრახნის ხვიებით და წინ ტრანსპორტირდება, მასალის ცილინდრის კედლებზე ხახუნის კოეფიციენტი უნდა აღემატებოდეს მასალის ჭიახრახნზე ხახუნის კოეფიციენტს. ჩატვირთვის ზონაში მასალის ტრანსპორტირების პირობები დამოკიდებულია ჭიახრახნის პარამეტრებზე, ცილინდრისა და ჭიახრახნის ტემპერატურაზე, გრანულების ფორმაზე, ასევე პოლიმერული მასალის თვისებებზე. პლასტიკაციისათვის ყველაზე ხელსაყრელია მასალები, რომელთა გრანულებს აქვთ კარგი ფხვიერობა და დიდი ნაყარი მასა. ყველაზე მაღალი მოცულობითი მწარმოებლურობა მიიღწევა გრანულების კუბური, ცილინდრული და სფეროსებური ფორმის დროს.

ჩატვირთვის ზონაში მასალა შეირევა ფენების გადაადგილების შედეგად. ჩატვირთვის ზონის მწარმოებლურობა დამოკიდებულია ჭიახრახნის პარამეტრებზე – დიამეტრზე, არხის სიღრმეზე და ხრახნის ხაზის აწევის კუთხეზე. ჭიახრახნის დიამეტრისა და ჩატვირთვის ზონაში არხის სიღრმის გადიდება ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას.

პლასტიკაციის ზონაში ცილინდრის გასწვრივ გადაადგილებისას მასალა ცხელდება და რბილდება (ნახ. 1 ა). ამ ზონაში მასალა ლდვება და მყარი მდგომარეობიდან გადადის ბლანტდენადში. აქ მასალა თავიდან შედგება ერთდროულად მყარი გრანულებისა და ნალღობისაგან.



ნახ. 1. ცილინდრში მასალის მდგომარეობის ცვლილების სქემა

პლასტიკაციის ზონაში ჭიახრახნის გასწვრივ მოძრაობისას მასალის გაუმლდვალი ნაწილაკები შეერევიან გამლდვალს და ჩაერთვებიან მათთან ერთად ხნახნულ მოძრაობაში. პირველად მასალა ლდვება ჭიახრახნის ხრახნული კუთხვილის წამბიძგებელი ნაწილურის მახლობლად. არხის დანარჩენი ნაწილი რჩება გრანულირებული მასალით შევსებული. შემდეგ ხვიბში გამლდვალი მასალის ზონა არხის კვეთაში იზრდება.

ნახ. 1, ბ, გ წარმოდგენილია პლასტიკაციის ზონაში ჭიახრახნის პირველ ხვიებში მასალის მდებარეობის სქემა. ცილინდრის კედლის მახლობლად (I ზონა) მასალა იმყოფება გამლდვალ მდგომარეობაში. ხვიის წინა წამბიძგებელი ნაწილურის მახლობლად (II ზონა) გამლდვალ მასალაში მიმდინარეობს ცირკულაციური მოძრაობა. III ზონაში გრანულების ზედაპირი ლდვება, გრანულები შემჭიდროვდება, შეეწებება, ნაწილობრივ ლდვება და ნოვებიან ცირკულაციურ მოძრაობაში. IV ზონაში გამლდვალ მასალასთან ერთად ჭიახრახნის არხში იმყოფება მყარი გრანულები.

გრანულირებულ მასალასთან ერთად მოხვედრილი ჰაერი ცილდება გრანულებს შორის დრენაჟის გავლით და არ ხვდება ნალღობში. ფხვნილისებური მასალის გადამუშავებისას ჰაერის მოცილების პროცესი გაროულებულია.

მასალის დარბილებას ახლავს მისი გამკვრივება ხვიებსშორის სივრცეში. ჭიახრახნის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია მასალის შეკუმშვა ჭიახრახნის გარკვეულ უბანში (შეკუმშვის ზონა).

დოზირების ზონაში მასალა იმყოფება მთლიანად გამლევალ (ბლანტდენად) მდგომარეობაში (ნახ. 1, დ). პლასტიკაციის ნორმალური რეჟიმის დროს მყარი გრანულები ამ ზონაში ვერ აღწევენ. ამ ზონაში მასალა სტაბილურად ცხელდება და იძენს მოცემულ ტემპერატურას. დოზირების ზონაში მასალის მოძრაობას რთული ხასიათი აქვს. ჭიახრახნის არხებში ნალეობის ცირკულაცია ქმნის კარგი შერევის პირობებს. ნალეობზე ინტენსიურად მოქმედებს ძვრის დეფორმაციები, რომელიც ხელს უწყობს სითბოს გამოყოფას. გადასამუშავებელი მასალის თვისებების მსიხედვით ხდება სხვადასხვა პარამეტრების ჭიახრახნების შერჩევა. ძვრის დეფორმაციების სიდიდე დამოკიდებულია აგრეთვე ჭიახრახნის დიამეტრზე და ბრუნვის სიხშირეზე.

დოზირების ზონაში მასალის ჯამური ნაკადი შედგება ოთხი ნაკადისაგან: ძირითადი – გამოწვეული ჭიახრახნის ბრუნვით ცილინდრის ზედაპირის მიმართ, საწინააღმდეგო – წნევის გრადიენტის მოქმედებით აღძრული (მიმართულია ჭიახრახნის არხის გასწვრივ ბუნკერის მიმართულებით), განივი – აღიძვრება ჭიახრახნის არხის ნორმალურ კვეთაში და უზრუნველყოფს მასალის წანაცვლებას, ასევე ჭიახრახნის ხვიებსა და ცილინდრის შიგა კუდელს შორის გაუონვის ნაკადისაგან.

თითოეულ ზონაში მიმდინარე პროცესების ერთიანობა განსაზღვრავს პლასტიკატორის მწარმოებლურობას და ნალეობის ხარისხს. პროცესის ძირითადი პარამეტრების ცვლილებით და ჭიახრახნის გეომეტრიული მახასიათებლების შერჩევით შესაძლებელია პლასტიკატორის მწარმოებლურობის რეგულირება და მასალის საჭირო ტემპერატურის მიღწევა.

პლასტიკაციის პროცესის ძირითადი ფაქტორებია ჭიახრახნის პარამეტრები (სიგრძე, დიამეტრი, არხის სიღრმე), ჭიახრახნის ბრუნვის სიხშირე, პლასტიკაციის წნევა. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ პლასტიკაციური ცილინდრის მწარმოებლურობას, მასალის ტემპერატურას, პორციის აღების სიზუსტეს.

პლასტიკაციური მწარმოებლურობა – არის პლასტიკირებული მასალის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მოამზადოს ჩამოსასხმელი მანქანის ინუქციურმა ნაწილმა 1 სთ განმავლობაში:

$$G_p = 3.6 \text{ V} \cdot \rho / t_p \quad (1)$$

სადაც ρ – პლასტიკაციური მწარმოებლურობაა, კგ/სთ; V – სხმულის მოცულობა, სმ³; ρ – სიმკვრივე, გ/სმ³; t_p – პლასტიკაციის დრო, წმ.

პლასტიკაციის დრო შესაძლებელია გამოისახოს ციკლის ტექნოლოგიური დროს საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მასალის წნევის ქვეშ დაკოვნებისა და ფორმაში წნევის გარეშე მასალის გაცივების დროთა ჯამს. ტექნოლოგიური დროს ხანგრძლივობა დამოკიდებულია მასალის სითბოფიცურ თვისებებზე, ნაკეთობის სისქეზე და გადამუშავების რეჟიმზე. ამოტომ მანქანის მწარმოებლურობა ცვლად სიდიდეს წარმოადგენს.

როგორც ექსტრუზის დროს, ნალღობის ტემპერატურა განისაზღვრება არა მხოლოდ სითბოს გარე წყაროების მუშაობით, არამედ შინაგანი ხახუნით სითბოს გამოყოფით, რომელიც აღიძვრება მასალის ძრადი დეფორმაციების ხარჯზე. ამიტომ ტემპერატურული რეჟიმი შეიძლება დარეგულირდეს გამაცხელებლების ტემპერატურისა და პლასტიკატორის ჭიახრახნის ბრუნვის სიჩქარის ცვლილებით.


ექსტრუზის პროცესისაგან განსხვავებით ჩამოსასხმელი მანქანების ჭიახრახნულ პლასტიკატორებში პლასტმასების პლასტიფიკაციის პროცესი ციკლურია. ციკლურ რეჟიმში მომუშავე პლასტიკატორების ჭიახრახნები განსხვავდებიან ექსტრუდერების ჭიახრახნებისაგან იმით, რომ მათი საერთო სიგრძე (და შესაბამისად, თითოეული ზონის სიგრძე) საშუალოდ 40-50%-ით ნაკლებია. ჭიახრახნის სამუშაო სიგრძე მცირდება მასალის პორციის ასაღებად უკან გადაადგილების დროს. ამ დროს ჭიახრახნის მწარმოებლურობა ეცემა.

ნაკეთობის ფორმირების პროცესი იწყება ფორმაში მასალის შესვლიდან. თერმოპლასტიკური მასალები ფორმირდება გაცივებულ ფორმებში, რაც იწვევს მასალის გაცივებას და ჩაჯდომას. მასგალის გაცივებისა და ჩაჯდომის შედეგად, ასევე ინჟექციური ცილინდრიდან მასალის ახალი პორციის შემოდინების გამო ხდება ფორმირების პერიოდში ფორმაში წნევის ცვლილება. სასხმელ არხში მასალის გამყარების შედეგად ფორმა იზოლირდება ინჟექციური ცილინდრისაგან. ნაკეთობის შეიღებობის გაცივება ფორმაში გრძელდება ცილინდრიდან მასალის ახალი პორციის შემოდინების გარეშე, ამიტომ წნევის შემცირება ფორმაში სწრაფად მიმდინარეობს. თუ საქმენს აცილებენ ფორმას სასხმის სრულ გამყარებამდე, მაშინ წნევის შემცირება ფორმაში ჩქარდება მასალის უკუგადინების გამო.

ნაკეთობის გაცივებისა და გამყარების შემდეგ ფორმას ხსნიან და ნაკეთობას ამოიღებენ.

ჩამოსასხმელი ფორის ტემპერატურის შენარჩუნება ხდება წყლის ან სხვა სითბომატარებლის დახმარებით.


ფორმირების ციკლში წნევის ცვლილება შეიძლება წარმოვადგინოთ წნევა p – დრო t დიაგრამის სახით (ნახ. 2). ეს დიაგრამა აჩვენებს წნევის ცვლილებასფორმის ერთ-ერთ წერტილში. ფორმის შევსებას (უბანი b) თან ახლავს წნევის გადიდება (a – დრო შევსების წინ). ფორმის მთლიანად შევსების შემდეგ გრძელდება მასში წნევის ზრდა (უბანი c), მასალა ფორმაში მკვრივდება (უბანი d). ინჟექციური დგუშის ან ჭიახრახნის დაბრუნება საწყის მდგომარეობაში იწვევს ფორმაში წნევის დაცემას (უბანი e). მასალის შემდგომი გაცივებისას წნევა მცირდება (უბანი f). ფორმის გასხვისმომენტში წნევა ფორმაში ატმოსფერულის ტოლი ან მასზე მცირედ მაღალი რჩება (ნარჩენი წნევა გ).

ნახ. 2. $p - t$ დიაგრამა ფორმის ერთი წერტილისათვის

ფორმის შემშვები ნახვრეტისაგან სხვადასხვა მანძილზე განლაგებული წერტილებისათვის წნევის ცვლილების ხასიათი განსხვავებულია. წნევის დაცემის სიჩქარე მით უფრო მეტია, რაც უფრო შორსაა წერტილი შემშვები ნახვრეტიდან. ეს იმით აიხსნება, რომ უფრო დაშორებულ წერტილებში გართულებულია მასალის ახალი პორციების შედინება, რომელიც აუცილებელია მასალის გაცივებით გამოწვეული ჩაჯდომის კომპენსაციისათვის. ამის შედეგად მასალის გაცივებით გამოწვეული ჩაჯდომა არ კომპენსირდება.

ფორმის შევსებისას (ნახ. 3) მასალის ფრონტი გადაადგილდება ფრონტალური ფირის 1 თანდათანობით გაჭიმვის გზით და ახალი პორციების გადაადგილებით უკვე გაცივებული მასალის უძრავი ფენების 3 გასწვრივ, რომლებიც ფარავენ ცივი ფორმის 2 კედლებს (ნახ. 3, ა). დენადობის ფრონტის შემდგომ წინსვლას ფორმაში (ნახ. 3, ბ და გ) ახლავს წნევის ზრდა რომელიდაც განსახილველ k წერტილში. წნევის ეს გადიდება ხელს უწყობს წარმოქმნილი ტალღების გასწორებას (ნახ. 3, დ, ე). ნელი დენადობის დროს ზედაპირული ფენები შეიძლება გაცივდეს და ნაკეთობებზე რჩება გაუსწორებელი ტალღების კვალი.

თუ სასხმელი ნახვრეტი მოთავსებულია მასალის დენადობის მიმართულებით, მაშინ შევსების ხასიათი პრინციპულად განსხვავდება ზემოთ განხილულისაგან. ამ შემთხვევაში დიდი სიჩქარით მასალის მოძრაობისას ფორმის შევსება ხდება არა უწყვეტი ფრონტით, არამედ ცალკეული უწყვეტი ჭავლის სახით, რომელიც ქაოსურად მიიწევს წინ და ავსებს ფორმას. ჭავლის ცალკეული უბნები ლღვება და ავსებს ფორმას. წნევა ფორმაში იზრდება და მასალა იღებს შიგა დრუს კონფიგურაციას.



ნახ. 3. ფორმის შევსებისას მასალის გადაადგილების სქემა

ფორმის შევსების პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია მასალის თვისებები და ტემპერატურა, მოდებული წნევის რეჟიმი, ფორმის გეომეტრია და კონსტრუქცია. ჩამოსასხმელი ფორმის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ნაკლებ გავლენას ახდენს შევსების პირობებზე. იმ შემთხვევაში, როცა ფორმას ათბობენ მაღალ ტემპერატურამდე, წევსების პირობები ადვილდება და ფორმის შესავსებად საჭრო წნევა მცირდება.

როცელი კონფიგურაციის ჩამოსასხმელი ფორმების შესავსებად საჭიროა ჩამოსხმის უფრო მაღალი სიჩქარე. ამ დროს აუცილებელია ჩამოსხმის მაღალი წნევა და შესაბამისად უფრო მაღალი ფორმის ჩასაკეტი ძალვა.

ჩამოსხმის წნევა ავტომატურად რეგულირდება, ამისათვის აყენებენ სპეციალურ მოწყობილობებს მანქანის ჰიდრო- და ელექტროსისტემებში.

ჩამოსასხმელ მანქანებზე მიღებული დეტალების სიმკვრივე და მასა დამოკიდებულია სასხმის გამყარების მომენტში ფორმაში შენარჩუნებულ წნევაზე. ამიტომ ჩამოსხმული დეტალების თვისებები დამოკიდებულია არა მარტო ფორმის შესასვლელთან წარმოქმნილ წნევაზე, არამედ წნევის ქვეშ დაყოვნების ხანგრძლივობაზეც. წნევის ქვეშ დაყოვნების ცვლილება იწვევს გამორთვის წნევისა და ნარჩენი წნევის ცვლილებას. თუ წნევის ქვეშ დაყოვნების ხანგრძლივობას გავადიდეთ, გამორთვის წნევა და ნარჩენი წნევა მაქსიმალური იქნება, თუ დაყოვნებას შევამცირებთ – გამორთვის წნევა შემცირდება, ხოლო ნარჩენი წნევა ატმოსფერულის ტოლი გახდება.

ნარჩენი წნევის გადიდება ხელს უწყობს სხმულის სიმკვრივის გადიდებას, მაგრამ ამ დროს როცელდება სხმულის ფორმიდან ამოდება, რადგანაც მნიშვნელოვანი ნარჩენი წნევის დროს ნაკეთობის ზედაპირი მჭიდროდ ეპვრის ფორმის ზედაპირს. ეს ართულებს სხმულის ამოდებას: უმნიშვნელო ხორჯლები, ნაფხაჭნები გამაფორმებელ ზედაპრზე ამოდებისა იწვევს სხმულის ზედაპირის დაზიანებას. მასალის ცილინდრში ნალლობზე წნევის გადიდება განაპირობებს ფორმის შევსების სიჩქარის ამაღლებას, მაკრომოლეკულების უფრო მჭიდრო ჩალაგებას. ამის შედეგად იზრდება ამორფული პოლიმერებიდან სხმულების ხარისხი, მაღლდება გაჭიმვის, შეკუმშვის და

დუნგის სიმტკიცე, დარტყმითი სიბლანტე. სხმულის სიმკვრივის გადიდებით შესაბამისად მცირდება მისი ჩაჯდომა. წნევის ცვლილების გზით შესაძლებელია პოლიმერების სტრუქტურის რეგულირება. მაგალითად, წნევისგადიდებისას კრისტალიზაცია შეიძლება დაიწყოს იმ ტემპერატურებზეც კი, რომელიც აღემატება პოლიმერის ლდობის ტემპერატურას.

ფორმაში ნალეობის გაცივების რეჟიმი გავლენას ახდენს ნაკეთობაში პოლიმერის სტრუქტურაზე, ნაკეთობის ხარისხზე, ჩამოსასხმელი მანქანის მწარმოებლურობაზე და ა.შ. თუ კრისტალიზირებად პოლიმერს გავაცივებთ ნელა, მაშინ პოლიმერის ტემპერატურის გაზომვით შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ დასაწყისში იგი მცირდება, შემდეგ დადგება მომენტი, როცა მასალის ტემპერატურა მუდმივი გახდება, რადგან იწყება კრისტალიზაციის პროცესი და ხდება სითბოს გამოყოფა. კრისტალიზაციის დასრულების შემდეგ ტემპერატურა ეცემა ოთახის ტემპერატურამდე და მასალა ბოლომდე ცივდება. თუ შევქმნით პოლიმერის სწრაფად გაცივების პირობებს, რომლის დროსაც კრისტალიზაცია ვერ ასწებს მიმდინარეობას, გამყარებული მასალა დარჩება ამორფულ მდგომარეობაში. ამორფული პოლიმერების გაცივებისას ამორფული სტრუქტურა შენარჩუნებულია. მაგრამ იცვლება ზემოლეგულური წარმონაქმნების ხასიათი, ანუ მათი ზომები და აგებულება.

ფორმის ტემპერატურის გადიდების დროს უმეტესი თერმოპლასტების გაჭიმვის, სტატიკური დუნგის, შეკუმშვის სიმტკიცეები, ასევე დარტყმითი სიბლანტე იზრდება. ცოტა სხვანაირად იცვლება პოლიეთილენის თვისებები – მისი დარტყმითი სიბლანტე მცირდება.

პროცესის მაღალი მწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად ფორმის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალი უნდა იყოს ნალეობის ტემპერატურაზე, ანუ ნალეობის გაცივება და გამყარება სწრაფად უნდა მოხდეს. ამასთანავე ტემპერატურების ეს სხვაობა არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ გაზარდოს ნაკეთობაში შინაგანი დაძაბულობები მის სხვადასხვა უბნებში ნალეობის არაერთგვაროვანი გაცივების გამო. სხვადასხვა პლასტმასებისათვის ტემპერატურების სხვაობა შეადგენს $100\text{--}160^{\circ}\text{C}$.

შინაგანი დაძაბულობების მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს აგრეთვა ნაკეთობის კონსტრუქცია. მაგალითად, სხვადასხვა სისქის კედლების მქრნე ნაკეთობები არათანაბრად ცივდება, რაც შინაგანი დაძაბულობების წარმოქმნის მიზეზს წარმოადგენს. ფორმის შიგა ზედაპირის სხვადასხვა წერტილებს ახლო ტემპერატურა უნდა ჰქონდეთ. ტემპერატურების სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს $5\text{--}6^{\circ}\text{C}$. ტემპერატურებს შორის სხვაობის გადიდება იწვევს ნალეობის გაცივების სიჩქარეების არაერთგვაროვნებას, რაც ნაკეთობების ზედაპირზე დაფექტების წარმოქმნის მიზეზია.

ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ჩამოსხმის მაღალი ტემპერატურა იწვევს დიდი შინაგანი დაძაბულობების წარმოქმნას, რეკომენდირებულია ფორმის წინასწარი გათბობა. ფორმის გაცხელების ტემპერატურას აღენენ ექსპერიმენტალურად თითოეული ნაკეთობისათვის. სხვადასხვა მასალების გაცივებისას ფორმების ტემპერატურების საორიენტაციო მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1.

თერმოპლასტების ძირითადი ტექნოლოგიური თვისებები და
გადამუშავების რეჟიმი

მაჩვენებელი	პოლიეთი ლენი		პო ლიკ როპ .	პგქ		პო ლის ტ.	პო ლია კრი ლ.	პო ლიკ არბ.	პო ლი ამი დი
	დაბ ალ სიმპ ზ.	მაღ ალ სიმპ ზ.		პლა სტ	არა პლა სტ.				
სიმკვრივე, კგ/მ ³	920- 930	940- 960	900- 920	1300 - 1500	1360 - 1400	1050 - 1080	1180- 1200	1170 - 1220	110 0- 120 0
ნეტ, გ/10 წთ	0,2- 5,0	0,2- 15	5-30	10- 20	10- 30	0,2- 5,0	0,5- 3,5	1,5- 3,0	2,5
ჩაჯდომა, %	1-2	1,5- 3,0	1-2,5	-	-	0,2- 0,8	0,4- 1,5	0,5- 0,8	1-2
ლლობის ტემპერ., °C	100- 130	120- 140	160- 170	150- 160	150- 160	140- 170	160- 200	220- 280	170- 265
მარტენსის მიხედ- ვით სითბომდგრა- დობა, °C	50- 60	105- 115	100- 150	30- 60	60- 80	65- 85	60- 90	125- 150	50- 60
სითბოგამტარობის კოეფიციენტი, გგ/(გ)	0,25 5- 0,32 4	0,301	0,14- 0,20	0,139	0,16	0,09 3- 0,139	0,139 -0,18	0,19	0,24 3
ტემპერატურაგმბა- რობის კოეფიციენ- ტი, ა 10 ⁷	1,16- 1,27	1,8- 2,2	0,8	0,9	1,0	0,55	0,03 5	0,04 6	1,3
ხედრითი სითბო- ტევადობა, ჯ/(გ)	2-2,3	2-2,3	1,67- 1,92	1,1	1,13- 2,0	1,34	1,5- 1,67	1,17	1,67 -2,5
ჩამოსხმის წნევა, მკა	100	90- 120	80- 140	50- 90	80- 150	70- 120	80- 150	100- 120	80- 100
ჩამოსხმის ტემპ. °C	150- 270	20- 280	200- 280	115- 200	160- 200	160- 220	180- 250	240- 320	180- 280
ფორმის ტემპ. °C	20- 60	40- 70	40- 70	20- 60	40- 80	40- 60	45- 80	60- 100	60- 120

მანქანის მუშაობის დროს ჩამოსასხმელ ფორმას ჩვეულებრივ აცივე-
მოსხენ წყლით ან ფორმის დასახულ ტემპერატურას ინარჩუნებენ თერმა-
ტიკური დანადგარის სითბომატარებლის დახმარებით.

წნევის ქვეშ ჩმოსხმის პროცესის ძირითადი პარამეტრებია ჩამოსხმის ტემპერატურა, ჩამოსხმის წნევა, ფორმის ტემპერატურა, ჩამოსხმის ციკლის ხანგრძლივობა. გარდა ამ რეგულირებადი ფაქტორებისა, ჩამოსხმის პროცესის მიმღინარეობაზე გავლენას ახდენს სასხმელი სისტემის კონსტრუქცია, ჩამოსასხმელი მანქანის კონსტრუქცია და მასალის თვისებები (გადამუშავების ტემპერატურის დიაპაზონში სიბლანტე, თერმოსტაბილურობა, რელაქსაციური თვისებები და სხვა). ყველა ეს პარამეტრი მთლიანობაში განსაზღვრავენ ნაკეთობათა თვისებებს.

ნაკეთობის თვისებები განისაზღვრება მისი სიმკვრივით, მაკრომოლეგულების ორიენტაციის ხარისხით, შინაგანი დაძაბულობების დონით, მასალის სტრუქტურით (ამორფულია თუ კრისტალური) და ა.შ. ნაკეთობის ხარხის განისაზღვრება ასევე მისი ზედაპირის მდგომარეობით, დროში ზომების ცვლილებით და ა.შ. დეტალების თვისებები და ხარისხი დამოკიდებულია ფორმირების დროს ჩამოსასხმელ ფორმაში განვითარებული პროცესების ხასიათზე.

ჩამოსხმის ტემპერატურა განსაზღვრას ნალეობის დენადობას, სიმკვრივეს, ფორმაში დენადობის დროს პოლიმერის მაკრომოლეგულების ორიენტაციის ხარისხს.

დენადობა საკმარისი უნდა იყოს ფორმის ბუდეების შესავსებად და მათი კონფიგურაციის ზუსტი აღწარმოებისათვის. კრისტალური პოლიმერები გაცხელებისას გადადიან ამორფულ მდგომარეობაში, რასაც ახლავს მათი სიმკვრივის შემცირება. მაგალითად, პოლიეთილენის კრისტალური ფაზის სიმკვრივეა 1000, ხოლო ამორფულის – 840 კგ/მ³. შესაბამისად, ამორფულ მდგომარეობაში გადასვლას ახლავს მასალის მოცულობის გადიდება. მიმდინარეობს აგრეთვე პოლიმერის თერმული გაფართოება. პოლიმერის მოცულობის გადიდებამ ლდობის დროს შეიძლება 9-10%-ს მიაღწიოს.

ჩამოსხმის ძალიან მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიმერის ინტენსური თერმოქანგვითი დესტრუქცია, ასევე მისი ნაწილობრივი გაკერვა, სიმტკიცის, ელასტიკურობის შემცირება, ფერის ცვლილება და სხვა არასასურველი შედეგები.

მასალა მიეწოდება ცილინდრში საწყის ტემპერატურაზე T_1 (გარემომცველი არის ტემპერატურა) ან გამობარი ბენკერის ზევით მოწყობილობაში. ცილინდრიდან გამოდის გამლევალი მასალა ტემპერატურით T_2 . ტემპერატურების ფაქტიური სხვაობის ფარდობას თეორიულად შესაძლებელთან (თუ მასალა გაცხელდებოდა კედლის თვ ტემპერატურამდე) უწოდებენ გამაცხელებლის მარგი ქმედების თერმიულ კოეფიციენტს:

$$\theta_{\text{ჯ.}} = T_2 - T_1 / T_3 - T_1 \quad (2)$$

პრაქტიკულად მასალის ცილინდრების გამაცხელებლების მ.ქ.კ. დაახლოებით 80% შეადგენს.

მასალის ცილინდრის ფაქტიური მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულით:

$$G_c = 3.6g / t_c \quad (3)$$

სადაც G_c – მასალის ცილინდრის მწარმოებლურობაა, კგ/სთ; g – სხმულის მასა, გ; t_c – ჩამოსხმის ციკლის ხანგრძლივობა, გ.

პოლიმერული მასალები სითბოს ცუდად ატარებენ, ამიტომ მასალის ცილინდრის ოპტიმალური მწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად მის კედლებსა და ნალეღობის ტემპერატურებს შორის სხვაობა უმნიშვნელო უნდა იყოს. ამ დროს ცილინდრის ტემპერატურა არ უნდა იყოს პოლიმერის დაშლის ტემპერატურის ახლოს, ხოლო მასალის გასაცხელებელი ფენის სისქე შესაძლებლობისდაგვარად მცირე უნდა იყოს.

ჭიათურას მანქანების ცილინდრებში გაცხელების პირობები უკეთესია, ვიდრე დგუშიანი მანქანების ცილინდრებში. ჭიათურას მანქანების ცილინდრის დიდი სიგრძის გამო იგი შეიძლება დავყოთ რამდენიმე ტემპერატურულ ზონად ტემპერატურის ნელი გადიდებით საქმენის მიმართულებით. ამით იქმნება ზონების მიხედვით გაცხელების უფრო რბილი რეჟიმი. გარდა ამისა, ჭიათურას ბრუნვით ხდება მასის მორევა და ტემპერატურების თანაბარი განაწილება.

რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო ნაკლებია ნალეღობის სიბლანტე, უფრო აღვილად გადაეცემა წნევა და შეივსება ფორმა. ტემპერატურის მნიშვნელოვნად ამაღლებისას შესაძლებელია პოლიმერის დაშლა. ნალეღობის ტემპერატურის შემცირება იწვევს ცილინდრში მასალის დაყოვნების ხანგრძლივობის გადიდების აუცილებლობას, რის შედეგადაც მცირდება მანქანის მწარმოებლურობა.

მაღალი ხარისხის ნაკეთობების მისაღებად აუცილებელია ცილინდრში ტემპერატურული რეჟიმის მკაცრად დაცვა, ამასთანავე, რაც უფრო მეტია გადამუშავების ტემპერატურების ინტერვალი, მით უფრო ზუსტად უნდა დავიცვათ ეს პარამეტრები.

ჩამოსასხმელი ფორმის ტემპერატურა დამოკიდებულია ჩამოსხმის ტემპერატურაზე. რაც უფრო მაღალია ჩამოსხმის ტემპერატურა, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ფორმის ტემპერატურა. ჩამოსხმის წნევა იქმნება პლასტიკაციის კვანძის დგუშით ან ჭიათურაზე. წნევის ქვეშ გამლდვალი მასალა გადის მასალის ცილინდრში, ფორმის არხებში და ავსებს ფორმის ღრუს. ფორმაში მაქსიმალური წნევა იქმნება დგუშის ან ჭიათურაზე წინსვლის ბოლოს და დამოკიდებულია დგუშზე ან ჭიათურაზე მოქმედ ძალვაზე, ნალეღობის ტემპერატურაზე და მასალის გადაადგილებისადმი წანააღმდეგობაზე. წინააღმდეგობა განპირობებულია ნალეღობის სიბლანტით, მასალის ნაკადის შევიწროებით და გაფართოებით, ზედაპირის ხორკლიანობით და ა.შ. ამიტომ ფორმაში მაქსიმალური წნევის შესაქმნელად აუცილებელია დგუშზე ან ჭიათურაზე მოქმედი ძალვის გადიდება, მასალის ტემპერატურის გადიდება, სასხმელი არხების სიგრძის შემცირება, მათი კვეთის გადიდება, პლასტიკასაში საპოხი მასალების შეევანით ხახუნის ძალის შემცირება და ა.შ.

მასალის ცილინდრში ნალეღობზე მოქმედი წნევის ამაღლება იწვევს შემხაპუნებისა და ფორმის შევსების სიჩქარის გადიდებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მასალის არხებში მოძრაობის დროს შინაგანი ხახუ-

ნის ძალების ზრდას, სითბოს გამოყოფას და მაკრომოლექულების ორიენტაციას.

ჩამოსხმის ციკლის ხანგრძლივობა განისაზღვრება, ერთის მხრივ, ტექნოლოგიური მოთხოვნებით, ანუ ფორმის შეცვების ხანგრძლივობით, სხმულის იმ მდგომარეობამდე გაცივების ხანგრძლივობით, რომ შესაძლებელი იყოს ფორმიდან მისი ამოღება, ზოლო მეორეს მხრივ, ფორმის ჩაკეტვისათვის აუცილებელი, საქმენის სასხმელის მილისთან მიუვანის შეშხაპუნებისათვის საჭირო, ასევე საქმენის კან დარუნებისა და ფორმის გახსნის დროზე (მანქანის დრო). მანქანის დრო წარმოადგენს მანქანის საპასპორტო მახასიათებელს, ხოლო ტექნოლოგიური დრო (წევის ქვეშ და წევის გარეშე დაყოვნების ხანგრძლივობა) განისაზღვრება ექსპერიმენტალურად.

ციკლის ხანგრძლივობა შეიძლეა ვიანგარიშოთ როგორც ციკლის შემადგენელ ყველა ოპერაციაზე დახურჯული დროის მონაკვეთთა ჯამი:

$$t_c = t_1 + t_2 + t_3 + t_4 + t_5 \quad (4)$$

სადაც ტც - ციკლის ხანგრძლივობაა, ტ1 - ფორმის ჩაკეტვის დრო, ტ2 - საქმენის მიუვანისა და შეშხაპუნების დრო, ტ3 - წევის ქვეშ დაყოვნების დრო, ტ4 - წევის გარეშე დაყოვნების დრო, ტ5 - ფორმის გახსნის დრო.

ნალეობის გაცივება იწყება შეშხაპუნების მომენტიდან, შესაბამისად, გაცივების დრო ტგ ტოლია

$$t_g = t_3 + t_4 \quad (5)$$

ფორმის ჩაკეტვისა და გახსნის ფარდობითი დროს მნიშვნელობა მიცირება, ეს ელემენტები შეიძლება გავითვალისწინოთ კოუფიციენტის სახით $\beta_1 = 1,1 \div 1,2$. შეშხაპუნების დრო შეიძლება გავითვალისწინოთ შესასწორებელი კოეფიციენტი, რადგანაც არა თხელკედლიანი სხმულებისათვისიგი არ აღმატება $10-15\%$ გაცივების ხანგრძლივობიდან. ამრიგად შესასწორებელი კოეფიციენტი $\beta_2 = 1,1 \div 1,15$. ამ შემთხვევაში

$$t_c = C_1 C_2 t_g \quad (6)$$

თუ წყლით გაცივებული ფორმის ტემპერატურას მოცულობაში ერთნაირად ჩავთვლით და სხმულის ცვლადი სისქის ნაცვლად გამოვალთ მისი საშუალო სისქიდან, მაშინ გაცივების ხანგრძლივობა დაახლოებით გამოითვლება ფორმულით:

$$t = \frac{\delta^2 \cdot 10^{-4}}{\pi^2 a} \ln \left(\frac{4}{\pi} \frac{T_1 - T_2}{T_3 - T_2} \right) \quad (7)$$

სადაც ტ - გაცივების დროა, წმ; - სხმულების სისქის საშუალო მნიშვნელობა, მმ; ა - ჩამოსასხმელი მასალის ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი, $\text{მ}^2/\text{წმ}$; თ1 - მასალის ნალეობის ტემპერატურა ფორმაში შეცვლის დროს; თ3 - სხმულის ტემპერატურა ფორმაში გაცივების პერიოდის ბოლოს; თ2 - ჩამოსასხმელი ფორმის ტემპერატურა.

ციკლის ხანგრძლივობის მიხედვით განსაზღვრავენ პროცესის მწარმოებლურობას, შესაბამისად, ციკლის დრო წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრს.

Композиты

ПЛАСТИФИКАЦИЯ ТЕРМОПЛАСТОВ В ЦИЛИНДРЕ ФОРМОВОЧНОЙ МАШИНЫ

Н. ХЕЛАДЗЕ, Ц. ГЕГУЧАДЗЕ, Д. КИРИЯ, Н. ДАВЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматривается процесс пластификации термопластов при движении в цилиндре формовочной машины. Шнек можно разделить на три зоны: зону загрузки, зону пластикации и зону дозирования. Сочетание процессов в каждой зоне определяет производительность пластификатора и качество расплава.

Основными факторами процесса пластификации являются параметры шнека (длина, диаметр, глубина канала), частота вращения шнека, давление пластификации. Эти факторы определяют производительность пластифицирующего цилиндра, температуру материала и точность отбора порции.

Основными факторами, влияющими на процесс заполнения формы, являются свойства и температура материала, режим приложенного давления, геометрия и конструкция формы. Температура формы оказывает незначительное влияние на условия наполнения. Когда форма нагревается до высокой температуры, условия заполнения облегчаются и необходимое давление при заполнении формы снижается.

Composites

PLASTIFICATION OF THERMOPLASTS IN THE CYLINDER OF A MOLDING MACHINE

N. KHELADZE, Ts. GEGUCHADZE, D. KIRIA, N. DAVLADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the process of plasticization of thermoplastics when moving in the cylinder of a molding machine. The screw can be divided into three zones: loading zone, plasticizing zone and dosing zone. The combination of processes in each zone determines the productivity of the plasticizer and the quality of the melt.

The main factors in the plasticization process are screw parameters (length, diameter, channel depth), screw rotation speed, and plasticization pressure. These factors determine the performance of the plasticizing cylinder, the temperature of the material and the accuracy of portion selection.

The main factors influencing the mold filling process are the properties and temperature of the material, the mode of applied pressure, the geometry and design of the mold. Mold temperature has little effect on filling conditions. When the mold is heated to a high temperature, the filling conditions become easier and the required pressure when filling the mold is reduced.

აგთორთა საქურადღებოდ!

უკრნალი „ნოვაცია“ არის საერთაშორისო სტანდარტის ნომრის მქონე (ISSN) რეცენზირებადი და რევურირებადი სერიული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგებს ქართველობიურ, პუმანიტარულ, ეკონომიკურ, მათემატიკურ, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, საინჟინრო და აგრარულ მეცნიერებათა დარგებში. გამოიცემა წელიწადში ორჯერ (პირველი ნომრისათვის სტატიები მიიღება 15 აპრილამდე, მეორე ნომრისათვის - 15 ნოემბრამდე). უკრნალში დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენს საერთაშორისო დონის ნაშრომებს.

უკრნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატორული გამოქვეყნება.

სტატიები გამოსაქვეყნებლად მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორის სურვილისამებრ, ქვეყნების ორიგინალის ენაზე), რომელსაც თან უნდა - ერთვოდეს სამ ენაზე (ქართული, რუსული და ინგლისური) დაწერილი რეზიუმე სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

სამეცნიერო სტატიების გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

➤ სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 15 გვერდზე მეტი (A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდი, მინდვრები ზევით და ქვევით - 2,4 სმ, მარცხნივ - 2,5 სმ, მარჯვნივ - 3 სმ, აბზაცი - 1 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;

➤ სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

➤ ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი - Acadnusx, 12 pt;

➤ ინგლისური და რუსული ტექსტისათვის შრიფტი - Times New Roman, 12 pt;

➤ მარჯვენა ზედა კუთხეში – მეცნიერების დარგი (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორი (FOS);

➤ სტატიის გამოტოვებით – სტატიის სათაური;

➤ სტატიის გამოტოვებით – ავტორთა სახელი და გვარი;

➤ შემდეგ სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – ანოტაცია სტატიის ენაზე (არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის შინაარსი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (რეზიუმე არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა) (ანოტაციისაგან განსხვავებულ ენაზე, ანოტაციის ენაზე საჭირო არ არის);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (არანაკლებ 5 დასახელება);

➤ სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;

- მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს/აგებენ სტატიის შინაარსა და ხარისხზე.

გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ძალის მისამართი (1 ებზემალარი) და ელექტრონული (ნებისმიერ მატარებელზე) სახით. სტატიას თან უნდა ახლდეს დარბის საეციალისტის მიერ ხელმოჭერილი რეცენზია.

ურნალის ბეჭდვა ხორციელდება ავტორთა ხარჯებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., 102, მთავარი რედაქტორი ნინო ხელაძე, ტელ. 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.

URL: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147845>